# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | სამშაბათი, 29 ივლისი 1919 წ. № 159 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 150 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ... განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

ძმ. ხესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით“ და „ბოჭკობით“ ხელმისაწვდომ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., ტელეფ. 25—86

25—86 4

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.

10—6—1

# განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება აცხადებს რომ 12-ს მომავალს აგვისტოს, დღისით 12 საათზე ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით განცხადებით საჯარო ვაჭრობა 20.000 ლეიბის პირის და 20.000 ბალიშის პირის შეკერვაზედ საქართველოს რესპუბლიკის ჯარისათვის. ვაჭრობა შეუძლიანთ იმათ ვისაც აქვთ საამისო კანონიერი უფლება. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 12 აგვისტოს, 12 საათამდე, საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი რომელშიაც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზედ და ისიც რომ კისრულობენ ზემოხსენებულ ლეიბის და ბალიშის პირების შეკერვა-ჩაბარებას, თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშებისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზედ დაკრული უნდა იყვეს ოთხი მანეთის ღირებული სარგებლო მარკა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება დაბეჭდილ პაკეტებით, თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასები თითო ლეიბის და ბალიშის პირის შეკერვაზედ. ეს ფასი უნდა იყვეს დაწერილი, ანუ დაბეჭდილი, სიტყვიერებით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეების პირობებისა.

ლეიბის და ბალიშის სანიმუშო პირებისა ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა, ცხრა საათიდათ პირველ საათამდე, სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ბარიატინსკი ქუჩა № 10.

(3—146—1)

# განცხადება.

კახეთის რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს, რომ ქალაქ თბილისში მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათზე (ზემორე ნათქვამ სამმართველოში—ელისაბედის ქუჩა № 73) გაიცემა საიჯარო ვაჭრობით ბუფეტები სადგურ იორისა, საგარეჯოსი და ბადიაურისა.

ვისაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ვაჭრობაში, უნდა გამოგზავნოს სათანადო განცხადება ან ფოსტით, ან და მოიტანოს იგი პირადად.

განცხადება უნდა იქნეს დაბეჭდილი კონვერტში და უკანასკნელზედ უნდა ეწეროს: „კახეთის რკინის გზის სამმართველოში — ელისაბედის ქუჩა № 73 ბუფეტების იჯარით გაცემის შესახებ“.

ხსენებულ განცხადებას უნდა ეკრას ორ მანეთიანი სარგებლო მარკა და უნდა იქნეს მიღებული იგი ნათქვამ სამმართველოში 15 აგვისტოს არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა.

განცხადებაში უნდა იქნეს მოხსენებული სახელი, მამის სახელი და გვარი მთხოვნელისა და აგრეთვე რაოდენობა თანხისა, რომელსაც იძლევა იჯარად მთხოვნელი.

განცხადებაში უნდა იდვას უსათუოდ კვიტანციები კახეთის რკინის გზის კასაში ჯერ-ჯერობით საწინდრის შეტანისა სად. საგარეჯოს ბუფეტზე 1500 მან. დანარჩენებზე კი ხუთას-ხუთასი მანეთისა. ამ საწინდრის შეტანა შეიძლება როგორც კახეთის რკინის გზის მთავარ კასაში, აგრეთვე რომელიმე სად. კასაშიაც.

განცხადება უსაწინდროდ არ განიხილება. იმ პირთაგან შეტანილი საწინდარი, რომელთა პირობებიც მიუღებელი იქნება, საჩქაროდ დაუბრუნდება პატრონებს.

გზის მმართველობა იტოვებს უფლებას ბუფეტი მისცეს არა იმას ვინც უფრო დიდს საიჯარო გადასახადს შემოაძლევს მას, არამედ იმას ვინც უფრო სასურველი იქნება მისთვის.

გზის მმართველის მაგიერ ინჟინერი № ექსპლოატაციის უფროსი მ. მაჭავარიანი.

3—147—1

## დაშნაკცაკანის ახალი საფრთხე

სომხეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებმა უდავო გახადეს დაშნაკცუტიუნის პოლიტიკური ჰეგემონია სომხის ერში. სომხის მასსამ, სომხის დემოკრატიამ ამ პარტიას მოუწონა როგორც შინაური, ისე საგარეო პოლიტიკა და დამფუძნებელ კრებაში დიდი უმრავლესობა მისცა. პროცენტულად რომ ავიღოთ, სომხეთის დამფუძნებელ კრებაში მეტი დაშნაკცაკანი ზის, ვიდრე საქართველოს დამფუძნებელ კრებაში — სოციალ-დემოკრატი. სომხეთის დამფუძნებელი კრება 80 წევრიდან 71 დაშნაკცაკანია; საქართველოს დამფუძნებელ კრებაში —130 წევრიდან 109 სოციალ-დემოკრატია. იგივე ოთხფორმულიანი და პროპორციული სისტემის არჩევნები იყო სომხეთში, როგორიც საქართველოში. არჩევნებს ერთგვარი დემოკრატიული პრინციპი ედვა საფუძვლად ჩვენშიც და არარატის რესპუბლიკაშიაც. ფორმისა და პრინციპის მხრივ, ორგანვე სრული იგივეობაა და არავითარი საბუთი არა გვაქვს წუნი დავსდოთ სომხეთის არჩევნებს, ხოლო ჩვენსას მეტი დემოკრატობა და სრულყოფა მივაწეროთ. არჩევნების წარმოების ფაქტიურის მხრივაც საბუთი არ გვაქვს სომხეთში მეტი უკანონობა და ადმინისტრატიული თვითნებობა წარმოვიდგინოთ, ვიდრე საქართველოში. საბოლოო ანგარიშით სომხეთის დაშნაკცაკანური პარტია იმდენათვე გამოხატავს სომხის ერის ნება-სურვილს, რამდენადაც საქართველოში ქართველი ერის სურვილს სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოსთქვამს. ერთნაირის საზომით, ერთნაირის მეთოდით ამ ორს ქვეყანაში შესდგა თითქმის ერთნაირი უმრავლესობა დამფუძნებელ კრებათა.

სუბიექტიურის თვალსაზრისით რომ მივუდგეთ საქართველოს და სომხეთის დამფუძნებელ კრების შედგენილობას, ბევრ საბუთს გამოვსძებნით იმისას, რომ არც საქართველოში და არც სომხეთში უმრავლესობა ამ პარტიებს არ უნდა ჰკუთვნებოდა და რომ არც ერთი და არც მეორე ხალხის ნამდვილ ფსიხოლოგიის გამომხატველი არ არის. მართალიც რომ იყოს ასეთი შეხედულება, იგი იქნებოდა ყოველგვარ პოლიტიკურ რეალობას და წონას მოკლებული გაბჯენება და მსჯელობა, და მას რეალური პოლიტიკის სამერმისო ვერ გადაგვაქცევთ. ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ უნდა იქმნას უკუგდებული ჩვენი მთავრობის და სოციალდემოკრატიის წმიდა ბაზრული დემაგოგია, რომ დაშნაკელები უწადაგო ავანტიურისტები არიან, რომ სომხეთის პოლიტიკას აწარმოებს ძალმომრე დაშნაკელთა ერთი მუჭა მეთაური ავანტიურისტი და სხვა. ასეთი დემაგოგიური ფრაზეოლოგია აბნელებს საგანთა ნათელ წარმოდგენას, მოპირდაპირეთა ნამდვილ ძალთა გავლენის დანახვას და შეცდომაში შეჰყავს მთელი ქვეყანა. რა უფლებითაც ჩვენი სოციალდემოკრატები ბრძანდებიან ქართველი ხალხის ნამდვილი წინამძღოლი, იმავე უფლებით სომხის ერის წინამძღოლად და ნამდვილ ბატონ-პატრონად დაშნაკცაკანური პარტია უნდა ჩაითვალოს, არც მეტი და არც ნაკლები.

დემაგოგიით გამოკვებილმა და ილუზიით შეპყრობილმა სოციალდემოკრატიამ და მის წიაღიდან გამოსულმა საქართველოს მთავრობამ ყური გამოგვიჭედეს, ჩვენთვის სამარცხვინოთ დასრულებულ სომხეთ-საქართველოს ომის დროს, დამარცხდა დაშნაკცაკანის პოლიტიკა, სომხის დემოკრატია დასცემს მის ბატონობას და ძალა-უფლებას თავის ნამდვილ წარმომადგენელს ჩააბარებსო. ეს მაზხალა მაშინ საჭირო იყო ჩვენი დამარცხების დასამალავად და ქუჩის ექსტაზის შესამქნელად. ჩვენებმა თავისას მიაღწიეს, დაშნაკელებმაც — თავისას: ამ ამბით ნახევარი ბორჩალო ფაქტიურად ხელში ჩაიგდეს; სომხის ხალხმა ნიშნად მადლობისა თავის პარლამენტში კიდევ უფრო გააძლიერა დაშნაკელების რიცხვი და გავლენა.

წაგებული დარჩა საქართველო. მას აქეთ ჩვენ არ გამოვსწორებულვართ. სინამდვილის ნაკლები ალღო და ილუზიით მეტი სიმთვრალე, როგორც იყო ისე დარჩა ჩვენი მთავრობისა და სოციალ-დემოკრატიის განუკურნებელ სენად და ჩვენი ქვეყნის უბედურებად. ამაში მარხია ახალი სირცხვილის და ახალი დამარცხების შესაძლოებაც. გარეშე ამისა, ქართველი ერი გამარჯვების იმედით შეეზომება ყოველ დავიდაზსხმელ მტრობას.

ბრწყინვალე საარჩევნო გამარჯვების შემდეგ დაშნაკელები კიდევ უფრო გამაგრდნენ თავიანთ პოლიტიკის ბაზზე, როგორც მორალურად, ის პოლიტიკურად. დაშნაკცაკანის პარტიას შეემატა ახალი ძალა და მეტი წონა, ხოლო სამოქმედოთ მას თავისი ძველი პროგრამა უპირავს, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს დაშლილია თვის ტერიტორიულ ნაწილში. დაშნაკცაკანის ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ ჯერ სანახევროთ შესრულებული არ არის და ჩვენ ვიცით, თუ რანაირის, შეუდრეკელობით და სიმტკიცით სდგანან ამ პრეტენზიაზედ. ახალი ძალის მოკრეფა და პოლიტიკური და მორალური პოზიციის ხელახალი გამაგრება დროს დაუკარგავად გამოყენებული იქნება ახალი შემოტევისთვის ამ ტერიტორიის წასაღებად, ისე და იმ წესით, როგორითაც წაიღეს ნახევარი ბორჩალო გასული წლის დეკემბერში! ეს სინამდვილის ქარი ნეტავი შეეხო თუ არა მთავრობის ნესტოებს?!

## ლორი და ბამბაკი

26 მაისს საქართველო ქვეყნდ გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ასეთად უნდა იდღეგრძელოს შემდეგშიც. ამ ყველა ქართველისთვის უდავო დებულებიდან ლოღიკურად ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებისათვის შესაფერი პირობებიც უნდა შეიქმნას.

უმთავრესი ამ პირობებთაგანია საქართველოს საზღვრების სათანადოდ ამოხაზვა.

მითაა ჩვენი სამშობლო შედავათიან პირობებში, სხვებთან შედარებით, და ეს არა ერთხელ აღნიშნულა პრესაში, რომ მისი ისტორიული, ეკონომიური და სტრატეგიული საზღვრები ერთი და იგივეა.

მართალია, ზოგიერთ ადგილას წარხოცილა ქართველთა ხსენება, მაგრამ, ეს ჩვენი მტრების გამათახსირებელ პოლიტიკის ნაყოფია: ქლეტდნენ, სდევნიდნენ ქართველებს, და მათ ადგილას ასახლებდნენ უცხო ელემენტებს. გასახსენებელია რუსეთის და სპარსეთის პოლიტიკა ჩვენში.

ამისდა მიუხედავად საქართველომ მაინც შეინახა ქართული სახე, ვინაიდგან მის ისტორიულ ფარგლებში დღესაც ქართველობა შეადგენს აბსოლუტურ უმრავლესობას...

ისტორიულ საქართველოს საზღვრებში შედიან აგრეთვე ლორი და ბამბაკი, რომელსაც დღეს თურმე სომხებს უთმობენ...

მრავალ საუკუნეების განმავლობაში ერთგულად იცავდნენ ისინი ჩვენს დედა ქალაქს თბილისს...

საქართველოს დასუსტების დროსაც, როცა მას ნაკუწ ნაკუწად გლეჯდნენ, ლორში და ბამბაკში ფრიალებდა ჩვენი სახელმწიფოებრივი დროშა.

და თუ ისინი ჩაუვარდებოდნენ ხოლმე მტერს ხელში, მაშ ბედს უშიშ თბილისიც იზიარებდა.

ასეთი იყო ლორის და ბამბაკის სტრატეგიული მნიშვნელობა მაშინ, როცა ბრძოლის ბედს უვარგისი თოფი და ქანგიანი ხმალი სწყვეტდნენ.

უფრო საად მეტი წონა ეძლევათ საქართველოს ამ ნაწილებს ახლა, ჩვენ დროის ტეხნიკურ უპირატესობის გამო წინანდელთან შედარებით.

თქმულა და ზიანს არ მოგვიტანს გამეორება რომ ლორი თუ საქართველოს გარეშე დარჩება, მაშინ იქ დამდგარ ზარბაზნით შეიძლება თბილისის მოსპობა...

ხოლო დედა-ქალაქის აღებას რა მნიშვნელობა ექმნება საქართველოსთვის, ყველასთვის ცხადია...

არ შეიძლება დათმობა არც ლორის, არც ბამბაკის, თუ ჩვენ დედა ქალაქად კვლავ თბილისი დარჩება...

და ვინაიდგან თავშიაც კი არავის არ მოსდის სატახტო ქალაქის გადატანა, მაშინ, აუცილებელია, თბილისი უნდა უზრუნველვყოთ.

ამას მოითხოვს არა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს ინტერესი... და მიტომ ლორი და ბამბაკი უნდა დარჩნენ ჩვენ სამშობლოს ფარგლებში..

მათი შემოფარგვლის შემდეგ ჩვენ საზღვრების დასაცავად ნაკლები ჯარი დაგვჭირდება, და ამ მხრივაც მოგებაში დავრჩებით...

შეიძლება, სთქვან, სტრატეგიული მოსაზრებანი აქ მოსატანი არაა; თუ სომხებს ამ ადგილებს დავუთმობთ, თუ მათ ტერიტორიალურად მოვუგრიგდებით, მაშინ ჩვენ შიშის რაღაა სადავო? ზედმეტი და უაზრო შიში მათი თავდასხმისაგან...

უკანასკნელ სომეხ-ქართველთა ომის დროს იყო სხდომა მუშათა და ჯარის კაცთა ცენტრისა, რომელზედაც ბ. გეგეჭკორმა გააკეთა მოხსენება, სადაც ის ამტკიცებდა, რომ სომხები ჩვენ თავს დაგვესხნენ არა ტერიტორიის წასართმევად, არამედ სხვა მიზნითო...

ეს აზრი ნაწილობრივად მართალია. თუ ომი არა ტერიტორიის შესაძენად, არამედ სხვა მიზნისათვის შესაძლებელი ყოფილა თვითონ ბ. გეგეჭკორის აზრით, მაშინ... ტერიტორიის საკითხი რო მოვაგვაროთ კიდეც, განა ჩვენ რაიმე გარანტია გვაქვს, რომ ხვალ ან ზეგ იგივე მტერი არ მოგვადგება თავის სხვა მიზნების მისაღწევად? ჩვენ მისგან თავდაცვისათვის წინასწარი ზომები უნდა მივიღოთ „სიფრთხილეს თავი არ ასტკივდებაო“, ნათქვამია..

ჩვენ რომ ჩვენი მიწა-წყალი სომხებს დავუთმოთ კიდეც, ხალხის ფსიხიკა ამას ვერ შეეგუება, ამის თავდებია უკანასკნელი სომეხ-ქართველთა ომი, როდესაც ერის საუკეთესო ელემენტი კიჟინით ექვეთა მტერს ლორის დასაბრუნებლად.

თუ დღევანდელ პოლიტიკის მესვეურნი კვლავ ქვეყნის სათავეში იქნებიან, შესაძლებელია მათ არ მისცენ გასავალი ხალხის ზრახვებს, თუმცა კი ისეც საეჭვოა.

მაგრამ ჩვენ, როგორც ყოველი ერი თავის დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყობის ხანაში, უნდა ვხელმძღვანელობდეთ ყოველ შემთხვევაში არა წარმავალ მოსაზრებით.

ერის ცხოვრება ცვალებადია; ხვალ შესაძლებელია, ახალ ფაქტორების ზეგავლენით, საქართველოს სათავეში მოექცნენ სრულებით ახალი ელემენტები, რომლებისთვისაც ისტორიულ მაგალითებს და ერის სასიცოცხლო ინტერესებს მეტი მნიშვნელობა ექნება.

და მაშინ. ისინი რასაკვირველია მოინდომებენ იმის დაბრუნებას, რასაც ასე ბედოვლათად დღეს ჩვენ ყოველ გამვლელ-გამომვლელს ვურიგებთ.

და ამგვარად ხელოვნურად შევქმნით საქართველოსთვის ელზას-ლოთრინგის საკითხს. რად? რისთვის? განა ამის შემდეგად ამიერ-კავკასიის, აბობოქრება არ იქნება?

და სწორედ ზავისა და თანხმობისთვის, რომლისკენაც ყველა უნდა მიისწრაფვოდეს, საქართველოს არ უნდა გამოვწიროთ მის კუთვნილი.

ირწმუნებიან: „სომეხ-ქართველთა ომის დროს ერთ ოფიციალურ სხდომაზე ბ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მთავრობა თანახმა იყო ომამდის სომხებისთვის ლორი და ბამბაკი დაეთმოს. და ვინაიდან ბ. გეგეჭკორი ჩვენ საგარეო პოლიტიკის, უმაღლესი წარმომადგენელია მისი სიტყვა ის თამასუქია, რომელიც ერმა უნდა გაანაღდოს“.

მაგრამ ეს აზრი შცდარი იქნებოდა ჯერ ერთი ტერიტორიის გაზოძების უფლება არავის აქვს გარდა თვით ერის. მინისტრის ასეთი საქციელი ერისთვის სავალდებულო არ არის და მეორე ბ-ნ გეგეჭკორის სიტყვა ეხებოდა იმ მდგომარეობას, რომელიც ომამდის იყო, და ომის გამოცხადების შემდეგ კი, ჩვენი მთავრობა თავისუფალია ყოველგვარ დაპირებისაგან და გაცემულ ავანსებისაგან.

ამის შემდეგ სადაო საკითხებს სწყვეტს ჯარი ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა სომხებისაზე, ზურგი აქცევინა საქართველოსთვის, და დაედევნა მას.

მხოლოდ გარეშე ძალის ჩარევამ იხსნა სომხეთი ქართველების სამართლიან რისხვისაგან.

მართალია, ჯარი გაჩერდა, არ შევიდა მტრის ქვეყანას, აჩუქა მას სიცოცხლე, მაგრამ ტერიტორია მისთვის არ უჩუქებია... პირიქით! იგი დაიმკვიდრა მან ოფლით და სისხლით! დათმობის შესახებ რაღაც ფარატუხი იყო მაშინ როცა ამიერკავკასიიდან უნდა ამოგვეჭრა სამი სახელმწიფო.

აზერბაიჯანს და საქართველოს გარკვეული ტერიტორიები ჰქონდათ; ერთი სომხეთი იყო ისეთი, რომელსაც არ ჰქონდა მკვიდრად სომხებით დასახლებული მიწა-წყალი. მხოლოდ 4 მაზრაში შეადგენდნენ ისინი აბსოლუტურ უმრავლესობას...

ამისთანა პირობებში სომხეთის შექმნა მხოლოდ ხელოვნურად შეიძლებოდა, და ამიტომ ჩვენ საზოგადოების ზოგიერთ წრეებში დაიბადა აზრი, რომ სომხებისათვის რაიმე დაგვეთმო, რათა პატარა სომხეთს შესძლებოდა არსებობა...

ეხლა კი მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა. პარიზიდან მოსულ ცნობების თანახმად, გადაწყვეტილია, რომ ოსმალეთის სომხეთი ადგეს მის ისტორიულ საზღვრებში. სომხებს ეძლევათ საქართველოზე რამდენჯერმე მეტი ტერიტორია. მათ ძალებს ექნებათ დიდი გასაქანი. და ამიტომ ეხლა ლაპარაკი სომხეთის შეშველებაზე—უაზრობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

ბულგარეთის საზავო პირობები ერთი კვირის შემდეგ მზად იქნება.

ლორდთა პალატამ ერთხმად დაამტკიცა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ხელშეკრულება.

ზემო-სილეზიის პლებისციტი გერმანელთა სასარგებლოდ დასრულდა.

საზონოვი პარიზში კოლჩაკის წარმომადგენლობას კისრულობს.

ჟმერინკას ჩრდილო აღმოსავლეთით ბოლშევიკებმა სად. კრამოვცი დასტოვეს.

აღმოსავლეთით და სამხრეთით ბოლშევიკები წინ მიიწევენ. ციმბირისაკენ კრასნეურალსკი აიღეს.

ბესერაბიაში ფრანგ-ბერძენთა ჯარებს შორის შეტაკება მოხდა.

ამერიკულ გაზეთების ცნობა ლანსინგის გადადგომის შესახებ არ მართლდება.

---

ისიც შეიძლება გვითხრან: „გამარჯვებული კოალიცია მიაკუთვნებს ბამბაკს და ლორს სომხეთს, და ისევ სჯობია — ჩვენი ნებით დავუთმოთო". მაგრამ... ეს ფრიად მდარე არგუმენტია. ანტანტს შეუძლიან მთლად არ გვიცნოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მაშინ ბამბაკს კი არა, ქუთაისსაც სხვები დაეპატრონებიან. ხოლო თუ ჩვენი დამოუკიდებლობა იცნეს, მაშინ ისეთ პირობებში უნდა ჩაგვაყენონ, რომ გვქონდეს შეძლება—თავისუფლად ამოვისუნთქოთ. ასე იქცევა ანტანტა სხვაგან, მაგალითად, სომხეთში, ასევე მოიმოქმედებს იგი აქაც. თუ კი სომხეთს ტრაპიზონის ვილაიეთის ნაწილსაც კი აძლევენ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თბილისის კარების გასაღებს სხვას ჩაუგდებენ ხელში?

სადაო ტერიტორიის შესახებ სომხების გავლენიან ორგანომ „ნორ-აშხატავორმა" ის აზრი გამოსთქვა, რომ დღეს იქ აღარაა ქართველთა მოსახლეობა, მათ ადგილას სომხები არიან, და ამიტომ ხსენებული ადგილები სომხებისთვისაა გამზადებულიო, თუ ეს პრინციპი საერთოდ მისაღებია, მაშინ ოსმალეთის სომხეთი, რომლის ზოგიერთ ვილაეთებში დღეს ერთი სომეხი წამლადაც კი არ მოიძებნება, სომხეთს უნდა გამოეწიროს. მაგრამ სომხები, ასე არ იქცევიან—მიუხედავად აღნიშნულ გარემოებისა, ისინი კატეგორიულად მოითხოვენ სომხეთის აღდგენას მის ისტორიულ საზღვრებში. იქ, ოსმალეთში, სამართლიანად ემყარებიან ისინი ისტორიულ, და არა ეთნოგრაფიულ პრინციპს, ხოლო აქ კი—ეს მათთვის ხელსაყრელი არაა, და მიტომ სარგებლობენ რეალურ მოსახლეობის თვალსაზრისით.

და იმას კი არ უწევენ ანგარიშს, თუ რად მოხდა ასეთი უკუღმართობა, და ჩვენ მიწა-წყალზე სომხები როგორ მოხვდნენ უმრავლესობაში. ეს ორმაგი ბუხგალტერია, ცოტა არ იყოს, მიუღებელია ყოველ პატიოსნად მოაზროვნე პიროვნებისთვის, და, მით უმეტეს, მთელ ერისათვის... სომხები მოითხოვენ აგრეთვე ტრაპიზონს, რომელიც მათ არც ეთნოგრაფიულად და არც ისტორიულად არ ეკუთვნით; ითხოვენ მხოლოდ იმიტომ, რომ სომხეთის სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი პირობაა, რათა მას ზღვაში გასავალი ჰქონდეს.

და განა ჩვენ კი გორგოლაჭებს ვაგორებთ, და არა სახელმწიფოსა ვაშენებთ? თუ კი სომხები თავიანთ სახელმწიფოს საარსებო ინტერესების დასაცავად სხვისას იჩემებენ, ჩვენზე უფრო უპრიანი, არაა ჩვენივე კუთვნილი, ჩვენ წინაპართა სისხლით გაპოხიერებული მიწაწყალი? ეს ხომ აუცილებელია საქართველოს უზრუნველსაყოფად?

ქართველ ერმა მრავალსაუკუნოვან ისტორიის განმავლობაში ამოხაზა საქართველოს საზღვრები, ხმლით შემოფარგლა ჩვენი მიწა-წყალი... ივერიის არც ერთ ნაწილს, იქნება იგი ლორი, თუ ბამბაკი, ვერავის ვერ გავუზოძებთ, ამას გვავალებს სალად გაგებული საქართველოს სახელმწიფოებრივი შეგნება, მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა და წინაპართა ანდერძი.

**იასონ ჯავახიშვილი.**

## ფურცლები

**საქართველოს სენატი.**

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მეორე კითხვაში განიხილა სენატის დებულება.

ამ ინსტიტუტის დაარსებით, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა იწყებოდეს სრულებით ახალი ეპოქა:

ჩვენ უკვე განვლეთ საერთო ქაოსის და ნგრევის ხანა, გავიარეთ ხანი გამოურკვეველ პოლიტიკური ფორმაციის და დღეს საქართველო, უნდა დადგეს როგორც სახელმწიფო, მტკიცე და ურყევ საფუძველზედ.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღსდგა წითელი რევოლიუციის დროს და ამ საერთო ცეცხლში, შეუძლებელი იყო, რომ მასაც არ მოსდებოდა ის ალი, რომლითაც აინთო სხვა ხალხები.

მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს და ყოველივე მოვლენის განვითარებას თავისი ლოღიკა და შინა აზრი.

ცეცხლში შეიძლება განწმენდა, მაგრამ შეიძლება ხომ სრულებით დაფერფლვაც და თუ შეუწყვეტლივ ვალევივეთ ჩვენს სხეულში ის ნაპერწკლები, რომელნიც საკმაოთ ელვარებენ მასში, შესაძლოა ერთიანად დავიწვეთ ამ ცეცხლში.

ის რაც ბუნებრივი იყო ერთხანს, არა ნორმალური ხდება დღეს და ფრიად საზიანო და მცირე შეიქნება ხვალისთვის.—ამ გარემოებას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სახე ყალიბდება და მისი კონსტიტუცია მუშავდება.

სენატი, რომლის დებულებაც გუშინ მიიღო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, უდიდესი კონსტიტუციური აქტია და ერთ-ერთი მძლავრი ბოძთაგანი სახელმწიფოს სიმტკიცისა.

იქ, სადაც უფლებრივი ნორმები ფოლადივით არ არის გაჭედილი და სასამართლო ინსტიტუტი არ სდგას თავის მიუწდომელ სიმაღლეზედ, შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე აღმშენებლობით მუშაობაზედ.

იქ, სადაც არ არსებობს სადარაჯო, სახელმწიფოს კონსტიტუციის, მისი ძირითადი კანონებისათვის შეუძლებელი იქნება თვით ამ სახელმწიფოს არსებობაც.

დღემდე კი, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოში არ არსებობს სასამართლო;

რადგან, სასამართლოთ არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი დაწესებულება, რომელიც რაიმე ზეგავლენის ქვეშ იმყოფება;

საქართველოში, გარდა იმისა, რომ სასამართლო დამოკიდებულია არა მარტო მართველი პარტიისაგან, ხშირათ ცალკე პირთაგანაც, იგი ჯერ კიდევ მოქმედობს ძველი რუსეთის მიერ ნაანდერძევი სახით.

ერთად ერთი ტიპი სასამართლოსი, რომელიც შობა საქართველოს კანონმდებლობამ, არის ის „საგანგებო სასამართლო", რომლის უფლებრივი მდგომარეობა იმდენათ გაურკვეველია, რომ არ იცი, რა არის იგი:

იგივე სარევოლიუციო ტრიბუნალი,

თუ მისი მონათესავე დაწესებულება.

მისი უფლებები ხომ რეზინივით გამჭიმავია და ხან ყველაფრის შემძლეთ ხდება იგი, ხან კი უბრალო სისხლის სამართლის ქვემდებარე დანაშაულსაც კი ვერ იხილავს დამოუკიდებლივ.

ამ დაწესებულების ანალოგია ძნელია რომ ვიპოვოთ, რომელიმე უფლებრივ სახელმწიფოში.

სენატის დაწესებით, მტკიცე საფუძველი ეყრება საქართველოს სასამართლო ინსტიტუტს, მაგრამ, რომ ეს საფუძველი მართლა მტკიცე და ურყევი იყოს, თვით სენატია კონსტიტუცია უნდა იქმნეს იმდენად მაგარი და მიუწვდომელი თავის სიმაღლეში.

სახელმწიფოებრივი უფლება სცნობს სამს ელემენტს, რომელნიც ახასიათებენ სუვერენულ

სახელმწიფოს:

ძალას კანონმდებელს,

ძალას აღმასრულებელს,

და, სამართალს.

ჩვენ ვიცით, რასაც წარმოადგენს ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულება;

კრებული პარტიულ აგიტატორებისა და ვიწრო ფანატიზმით გაჟღენთილ პირთა; ხალხი, რომელსაც პარტია სწამს მხოლოდ თავის პარტიაში და ამ თავის ჯგუფურ ინტერესთა საკურთხეველზედ მსხვერპლად რომ შესწირავს ყველაფერს.

ხალხი, რომელსაც არა თუ ფართო სოციალურ მეცნიერებათა ცნობა არა აქვთ, უმრავლესობას თავისი პარტიული იდეოლოგიაც კი სავსებით არ აქვთ შესწავლილი.

პარლამენტის დიეტასაც კი მისთვის იღებენ ეს პირნი, თავის პარტიულ მუშაობისათვის, რომ უზრუნველყოფილნი იყვნენ.

ხოლო იმით, ვისაც მომზადებაც და გამოცდილებაც ხელს უწყობს ეს ორი წელია, მხოლოდ, რაც საქართველოზედ ფიქრი დაიწყეს და განა ასეთ პირებს შეუძლიათ ჩასწვდენ ერის გულში?

ყოველ ერის კანონმდებლობას კი თავის ერის მიერ განვლილი ისტორიის, და მის ადათთა ზნე-ჩვეულებათა ბეჭედი აზის.

და განა ამისთვის არ არის, რომ საქართველოს პარლამენტარიზმის ორი წლის ისტორიაში, ვერავინ დაასახელებს ისეთ კანონს, რომელიც ღრმათ ჩამწვდარი იყოს ერის ზრახვათა სიღრმეში!

საქართველოს კანონმდებლობა ტრაფარეტული და უფრო ასლია რუსული კანონმდებლობის.

როგორია საქართველოს ადმინისტრაცია?

მაგრამ განა კიდევ საჭიროა წერა საქართველოს ადმინისტრაციაზედ? განა დღეს საქართველოს ადმინისტრატორი სინონიმი არ გახდა ქურდობის, მექრთამეობის, ძალმომრეობის და ყოველივე სხვა ბოროტებისა?

ასეთ დროს, მხოლოდ ერთი დაწესებულება თუ შესძლებდა სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცის და ძლიერების დაცვას.—ეს არის სასამართლო.

დამფუძნებელმა კრებამ უკვე მიიღო სენატის დებულება, მაგრამ მე არ ვიცი რა იქნებოდა უკეთესი:

რომ სენატი სრულებით არ ყოფილიყო, თუ ისეთი სენატი, რომელიც საქართველოსთვის დაწესდა.

ვინც დამფუძნებელ კრებაში მისი დებულების განხილვას დაესწრო უთუოდ წინასწარ დაკარგავდა ყოველივე იმედს:

ასეთი სენატი, არა თუ სამართალს დაამყარებს საქართველოში პირიქით, მას შეუძლია სამართალი სრულებით მოსპოს და დაასამაროს.

საქართველოს სენატის დებულება უფრო გამეორებაა რუსეთის სენატის დებულებისა და იმ განსხვავებით რომ, ამოშლილია სწორედ ის, რაც ამ სენატის დადებით მხარეს წარმოადგენდა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უარყო ძირითადი პრინციპი, რომელზედაც მრავალი ხნის განმავლობაში სამართლის მეცნიერებამ დააფუძნა მოსამართლის მოღვაწეობა:

შეუძლებლობა მოსამართლის გადაყენებისა და

უარყო სრულებით ცენზი და სტაჟი სენატორისა.

გიორგი გვაზავამ დებულების განხილვის დროს სთქვა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით, სენატორათ შესაძლოა არჩეულ იქმნას:

„განათლებული და უმეცარი, ჭკუიანი და ბრიყვიო".

და გასაოცარი მჭერმეტყველობით, ეს აზრი იქვე დაამტკიცა სოც.-დემ. ორატორმა ზაქარია გურულმა:

„თუ შეიძლება, რომ ექიმს, საექიმო განათლება არ ქონდეს მიღებული და მაინც ექიმი იყოს, რათ არ შეიძლება რომ სენატორს იურიდიული განათლებით არ იყვეს აღჭურვილი და მაინც სენატორი იყოსო" ბრძანა ამ „ჭკუიანმა" ორატორმა და იგი სავსებით მართალი იყო.

საქართველოს დამფუძნებელი კრება, რასაკვირველია, ანგარიშს ვერ გაუწევს იმას, რომ ასეთი ექიმი მაგნებელი კი არ იქნება, არამედ მხოლოდ ექიმაზში, იყვე როგორც ასეთი სენატორი, მაღალი მოსამართლე კი არ იქნება, არამედ მხოლოდ „ზაქარია გურული" დაერქმევა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებას ალბათ სურდა სახალხო თეთრ დარბაზში პოლიტიკურ გოდეგილის გათამაშება, როდესაც ტრიბუნაზედ ყველაზედ უმეცარი დეპუტატი გამოგზავნა რომელსაც განსხვავებაც არ ესმის სენატორს და სანიტარს შორის.

მაგრამ როგორი იქნება ამ ვოდევილის გაგრძელება, რომელსაც შესაძლოა მართლა სანიტარები დასჭირდენ, სენატის მომავალი პრაქტიკა დაგვანახებს.

**ლ. ხარბიელი.**

## საქართ. დიპლომატიური წარმომად. სომხეთში

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ერევნის მთავრობასთან დაინიშნა დამფუძნებელი კრების წევრი და მუშათა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი გერასიმე მახარაძე.

## სოც.-დემოკრატ. ფრაქციის შეკითხვის გარშემო

**ჭიათურის მოსამართლის მიერ მუშათა საბჭოს წევრის დასჯის შესახებ.**

ჩვენს გაზეთში უკვე იყო მოყვანილი დამფუძნებელი კრების სხდომის ანგარიში, სადაც სოც.-დემოკ. ფრაქციამ მთავრობასადმი შეკითხვა წარადგინა ჭიათურის მომრიგებელ მოსამართლის მიერ მუშათა საბჭოს წევრის ი. ხარიტონიშვილისათვის 4 თვის ციხით მისჯის გამო იმისათვის რომ მან ჭიათურის შავი ქვის მოსამსახურეს კოტე წერეთელს მექრთამეობა დასწამა.

ამ საკითხის შესახებ, ჩვენმა რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო:

„გაზეთებში მოთავსებულია ცნობა დამფუძნებელ კრებაში შეტანილი შეკითხვის შესახებ, ჭიათურის მომრიგებელ მოსამართლის განაჩენით ხარიტონიშვილის დასჯის შესახებ და ვითომ მრეწველთა საბჭოს კოტე წერეთელი ბოროტ-მოქმედებისათვის სამსახურიდან დაეთხოვოს. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია; წერეთელი დღემდის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სამსახურში იმყოფება.

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე **ყურული**.

## გენ. გაბბას ჩამოსვლა

სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ იტალიურ მისიის მეთაური გაბბა იტალიიდან 3 მარიამობისთვის დაბრუნდება. გენ. გაბბას ჩამოსვლას დიპლომატიურ წრეებში საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ცვლილებას უკავშირებენ.

# ქრონიკა

## მთავრობაში

**სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად.** ფინანსთა მინისტრის მოხსენება, სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ყოველთვიურად — 65,822,790 გადადების შესახებ მთავრობამ მოიწონა და დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადასცა.

**სურსათის დასამზადებლად.** მოხსენება მიწად-მოქმედების მინისტრისა, მთავრობის განკარგულებაში 50 მილ. მანეთის გადადების შესახებ სურსათის დასამზადებლად მთავრობამ მოიწონა და დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადასცა.

1919—20 და 1920—21 სასწავლო წლების განმავლობაში საშუალო სკოლების პირველი ოთხი კლასი გადაკეთებულ იქმნას უმაღლეს დაწყებით სკოლებად. ლათინური ენა როგორც სავალდებულო საგანი გამორიცხულ იქმნას საშუალო სკოლის სასწავლო გეგმიდან.

**საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ.** მთავრობამ მოისმინა განათლების მინისტრის მოხსენება, შესახებ საშუალო სკოლის რეორგანიზაციისა და დაადგინა: 1) პირველ დაწყებითი სკოლა 7—8 წლიანია და ევალება განათლების სამინისტროს სათანადო გეგმის გამომუშავება საყოველთაო განათლების შემოღების შესახებ. 2) საშუალო 4 წლიანია, უკანასკნელ კლასებში სხ. და სხ. დარგებად იყოფა. 3) მომავალ სასწავლო წელში გაუქმებულ იქმნას. საშუალო სკოლებთან არსებული მოსამზადებელი კლასები.

## სხ. და სხ. ამბები.

**ფრონტის დღის მომწყობ კომისიისაგან.** ფრონტის დღის მომწყობ კომისიამ დაადგინა ანგარიშების განსახილველათ მოიწვიოს კომისია გვარდიისა და დამფუძნებელ კრების წევრებისაგან. კომისია სთხოვს ყველა მათ ვისაც ანგარიშები არ გაუსწორებია საჩქაროთ ჩააბარონ ფრონტის დღის მომწყობ კომისიას.

**ქართველების ჩამოსვლა.** ამ დღეებში ევროპიდან ბათუმში ჩამოვიდა 400 ქართველი. როგორც ისინი მოგვითხრობენ მათ გზაზე ერთი-მეორეზე ცუდათ ეპყრობოდნენ დენიკინელები და ბოლშევიკები.

**როგორ ეპყრობიან შვეიცარიაში რუს და ქართველ სტუდენტებს.** როგორც შვეიცარიიდან ჩამოსული მოგვითხრობს, შვეიცარიაში ძლიერ ცუდათ ეპყრობიან რუსსა და ქართველ სტუდენტებს, რადგანაც წინასწარ დარწმუნებულნი არიან რომ ისინი ბოლშევიკები არიან.

**საქართველოს ყოფილი ეგზარხოსი პლატონი სტამბოლში.** სტამბოლის გაზეთები სწერენ: სტამბოლიდან რუსეთის გემით ყოფილი ეგზარხოსი პლატონი, რომელიც ოდესიდან გამოიქცა ფრანგების ევაკუაციის დროს ამერიკაში გაემგზავრა. მიტროპოლიტს კარგად იცნობენ ამერიკაში სადაც ის მართლ მადიდებელთა ეპისკოპოსად იყო. მისი გამგზავრების მიზანია გააცნოს ამერიკის საზოგადოება იმ საშინელებებს, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებენ ეკლესიისა და მოსახლეობის წინაარმდეგ.

**საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** საზოგადოების სატერმინო კომისიამ უკვე შეიმუშავა 8,500-დე ტერმინი ტეხნიკის და მასთან დაკავშირებულ სხვა და სხვა სამეცნიერო დარგებიდან, ამ კვირაში ინჟინერი კ. მ. კაკაბაძე და რ. ნიკოლაძე—პოლიტეხნიკური საზოგადო კრებას გააცნობენ კომისიის ნამუშევარს, მისი სახელმძღვანელო პრინციპებს და სისტემას.

— დღეს, 29 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქუჩა № 70) ინჟ. ს. ფირალიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „საერთო ტეხნიკის მიზნები და ტეხნიკური მუშაობა თბილისის ერობაში".

**საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ბაქოში.** ბაქოს გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა, რომ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლათ ბაქოში დაინიშნა ბ-ნი გ. ალშიბაია, ხოლო ბ-ნი ნ. ქარცივაძე საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგათ. ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება: საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელი აზერბაიჯანის მთავრობასთან ისევ ბ-ნი ნ. ქარცივაძე იმყოფება, ხოლო ბ-ნი გ. ალშიბაია მისი მოადგილეა. რაც შეეხება კ. მიქელაძეს, იგი მხოლოდ ელჩად ინიშნება და არა დიპლომატიურ წარმომადგენლად.

**დენიკინის აგენტის გენ. ბარათოვის მოღვაწეობა.** როგორც გავიგეთ გენ. დენიკინის ღირსეული აგენტი გენ. ბარათოვი არწმუნებს ბათომის საზოგადოებას რომ დენიკინს არავითარი სამტრო არა აქვს საქართველოსთან ოღონდ ის მოითხოვს რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არ იქმნას ცნობილი მანამ, სანამ რუსეთის დამფუძნებელ კრებას არ მოიწვევენ.

## ნიკო თავდგირიძის გადასახლება

(მთავრობის თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა მინისტრს, დამფ. კრების წევრს სპ. კედიას).

**ნ. თავდგირიძის აფხაზეთიდან გადმოსახლების შესახებ.** მთავრობის თავმჯდომარემ ბ. თავდგირიძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო. დღეს გამომიცხადეს აფხაზეთის კომისარიატის ბრძანება, ხვალ დღეში უნდა გადავსახლდე, მიზეზი ჩემ მიერ გაზეთებში მოთავსებული წერილებია, რომელთაც კომისარიატი პროვოკაციულად სთვლის გთხოვთ გამოძიება დანიშნოთ მე არ მეშინია სასჯელის მე ვთხოულობ სიმართლეს. სოხუმი, მომრიგებელ მსაჯულთა თავმჯდომარე ნ. თავდგირიძე

**სოხუმის საზოგადოება თავდგირიძის გადასახლების შესახებ.** მთავრობის თავმჯდომარე[?] და სპირიდონ კედიამ სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მიიღეს: სოხუმის საზოგადოება განურჩევლად ეროვნებისა აღელვებულია აფხაზეთის კომისარიატის დადგენილებით ნიკო თავდგირიძის გადასახლების შესახებ. მიზეზი გადასახლებისა არის წერილები მოთავსებული გაზეთ „საქართველოში აფხაზეთის შესახებ. როგორც არ უნდა სცდებოდეს ამ წერილების ავტორი ეს არ იძლევა არავითარ საბუთს გადასახლებისას. ისე ი[?]ო დამსახურებული და უანგარო მოღვაწისა როგორიც უთუოდ არის ნიკო თავდგირიძე აღელვებული შეურაცხყოფით იმ ადამიანისა, რომელიც მუდამ ეტრფოდა საქართველოს თავისუფლებას და რომელიც როგორც ყოფილ ქალაქის თავს, დაუფასებელი სამსახური გაუწევია ქალაქ სოხუმისათვის ვთხოულობთ საქართველოს მთავრობისაგან, კომისარიატის მიერ ჩადენილ სასტიკ უსამართლობის გასწორებას.

საზოგადოების მონდობილობით იოსებ ლოლუა, ბესარიონ გვალია, ვლადიმერ იმნაძვრი, ვლადიმერ მარშანია, ვ. კანჩაძე.

## ბოროტ-მოქმედებანი.

**ქურდობა.** 25 ივლისს ილარიონ გოგებაშვილის ბინიდან (ანდრეევის ქუჩა) ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს 10,000 მან. ფული და სხ. და ს. ძვირფასი ნივთები.

— 26 ივლისს ბოროტმოქმედებმა გასტეხეს დავ. ნასიმოვის სავაჭრო და 300,000 მან. ფულათ და სხ სხ. ძვირფასი ნივთები წაიღეს.

**მარცხი.** მიხაილ ქუთელიამ უცაბედათ დასჭრა ამირ. ქაჯაია. ქუთელია დააპატიმრეს.

## სამხატვრო ქრონიკა

**ევრეინოვი ბორჯომში.** სახელგანთქმული რუსი რეჟისორი ნიკოლოზ ევრეინოვი საზაფხულოდ ბორჯომში ჩამოვიდა.

**ქართველ მწერალთა კრებული** გამოვა შემოდგომაზე.

**ვალერიან გაფრინდაშვილის წიგნი.** ქუთაისში იბეჭდება და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების წიგნი.

**ქართულ კლუბში.** დღეს 29 ივლისს, წარმოდგენილ იქნება „პიკის ქალი", ოპერა ჩაიკოვსკისა, 1 მოქმ. მე 2 სურათი, 2 მოქ. მე-2 სურათი! 3 მოქ. 1 და 2 სურ. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მოროზოვისა, შვამბერგი, იანსა; ბ.ნი კანშინი და სხვა.

## კრებები.

**საარჩევნო კომისიის კრება.** დღეს დილის 9 საათზე სასახლეში დანიშნულია დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის კრება, სოხუმის ოლქში დამატებითი არჩევნების გადადების შესახებ.

**სააქციზო სამმართველოს უწყების მოხელეთა საზოგადო კრება.** 1 მარიამობისთვეს 1919 წ, პარასკევს, საღამოს 6 საათზე სააქციზო სამმართველოს შენობაში დანიშნულია ამავე სამმართველოს უწყების მოხელეთა საზოგადო კრება, რომელსაც სავალდებულოა დაესწრნენ როგორც თბილისში მცხოვრები მოსამსახურენი, აგრეთვე წარმომადგენლნი მაზრებიდან. განსახილველია: 1. აქციზის უწყების მოსამსახურეთა კავშირის და საურთიერთო დამხმარე კასის წესდებანი. 2. კავშირის კომიტეტის და კასის გამგეობის წევრთა არჩევნები. 3. მიმდინარე საქმეები.

## პროვინციის ცხოვრება

### ს. ენისელი

25 მკათათვიდან გაიხსნა ტელეგრაფის ოპერაციები ენისელის (თელავის მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში"

### ახალციხე.

— აქ ხმები გავრცელდა აჭარლებმა სამს. ფირცხალავა, პ. საყვარელიძე და ლეო რუხაძე დაატყვევესო. მაგრამ ხმები ამის შესახებ არ გამართლდა.

### აბასთუმანი.

— მოაგარაკეთა რიცხვი დღითი დღე იზრდება; განსაკუთრებით ავადმყოფნი მოდიან, მაგრამ იქ ერთი ექიმიც არ მოიპოვება. და ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს.

— გაზეთები „განახლებული მესხეთი" და „მესხეთ ჯავახეთი" ერთმანეთს ქუჩური ლანძღვით უმასპინძლდებიან.

— პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს; დღეს კი პურის ნაკლებობა შესამჩნევად იზრდება.

## ვილსონის ნოტის შესახებ

გაზეთ „ნოვი დენის" გუშინდელ №-ში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: ხმებია, რომ ამერიკის მისიამ საქართველოს მთავრობას გადასცა ვილსონის მიერ ხელმოწერილი ნოტა, რომლითაც ამერიკის პრეზიდენტი წინადადებას აძლევს საქართველოს მთავრობას, რომ საქართველოს ტერიტორიაზედ არ შეაჩერონ ის ტვირთნი, რომელთაც სომხეთში გზავნიან და მიღებულ იქნან ზომები ამ ტვირთთა გადაგზავნის დასაჩქარებლად." ამ ცნობის შესახებ, ჩვენი რედაქცია შეეკითხა საგარეო საქმეთა სამინისტროს, მაგრამ იქ ნაშუადღევის 2 საათამდის არავითარი ცნობა მოსული არ იყო.

## დამფუძნებელი კრება

**25 ივლისის სხდომა.**

(დასასრული)

**თავმჯდომარე.** მე ჩემ მოვალეობად ვთვლი გამოვაცხადო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ბოლშევიკებთან. ჩვენ ვაშენებთ ჩვენს სახელმწიფოს ისე, როგორც ჩვენ ვიცით და გვგვიანია, სრულებით თავისუფლად და დამოუკიდებლად (ტაში).

ი. **ბარათაშვილი** ამტკიცებს და ანვითარებს იმ აზრს, რომ იურიდიული განათლება აუცილებელია სენატორისათვის.

ზ. **გურული** ცდილობს დაამტკიცოს, რომ იურიდიულ მომზადებას არა აქვს მნიშვნელობა, რომ სენატორად შეიძლება იყოს ყოველივე მოქალაქე. ბევრია კარგი ექიმები, რომელთაც განათლება არ მიუღიათ; ექიმისთვის არ არის საჭირო იურიდიულ ფაკულტეტის დამთავრება.

**გ. გიორგაძე** იცავს სოციალ-დემ. ფრაქციის შესწორებას.

შესწორება მიღებულია, თუმცა ხმის მიცემის დროს ბევრმა სოციალ-დემოკრატმა თავი შეიკავა. ამ ნაირად საქართველოს სენატისთვის იურიდიული განყოფილება და გამოცდილება არ არის აუცილებელი პირობა. სენატორად შეიძლება იყოს ყოველი მოქალაქე.

ბოლოს მთელი კანონპროექტიც მიიღეს.

**გ. გიორგაძე** (ს.-დ.) აღნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის შესწორება არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს ჩვენ გვსურდეს სენატორებად ავირჩიოთ უბრალო უცოდინარი პირები.

ეს, რასაკვირველია, არ არის მართალი მაგრამ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ არც სავალდებულოა, რომ სასენატორო კანდიდატს ძველ მთავრობის დროს ჰქონდეს მიღებული დამსახურება.

**მომხსენებელი** კომისიის აზრით წინააღმდეგია სოც.-დემ. ფრაქციის შესწორების.

კენჭის ყრით მიღებულ იქმნა სოც.-დემოკრ. ფრაქციის წინადადება.

შემდეგი მუხლები ხსენებულ კანონპროექტისა მიღებულ იქმნა მცირეოდენის ცვლილებით.

ამავე სხდომაზე კრებას მოხსენდა მუხლობრივ **კანონ-პროექტი საქციზო და საპატენტო გადასახადის.**

კანონ-პროექტის განხილვას კამათი არ გამოუწვევია.

სოც.-დემ. ფრაქციის მიერ შეტანილ იქმნა მცირეოდენი ცვლილებანი.

დასასრულ დახურულ კარებში დამფუძნებელ კრებამ მუხლობრივ განიხილა სამხედრო კანონ პროექტები.

კრება დაიხურა 4 საათზე.

## „ვილსონი კოლჩაკს არა სცნობს“

**მარსელ კაშენის წერილი.**

მოკავშირეთა მიერ კოლჩაკის აღიარების გამო სააგენტოები იუწყებიან, რომ შეერთებული შტატები ჯერჯერობით არა სცნობენ კოლჩაკის აღიარებას. ვაშინგტონის მთავრობა არ შესცვლის თავის აზრს იმ შემთხვევაშიც თუ რუსეთის რეაქციულ მთავრობას მოკავშირენი ოფიციალურად მხარს დაუჭერენ და რეალურად დაეხმარებიან.

საკითხი ჩვენ პირველ ხარისხოვნად მიგვაჩნია.

რუსის რევოლიუციის სიძულვილით გატაცებული ჩვენი მთავრობანი ეს ორი წელიწადია მხარს უჭერენ ჯარისკაცებს, მეზღვაურებს და ფულს უხვად აძლევენ ავანტიურისტების დასახმარებლად.

ჯერ სკოროპადსკის ეთამაშებოდნენ, მათ დაუწყეს არხანგელსკში ვილაც ავანტიურისტ ჩაპლინს დახმარება, ისინი ამაგრებენ დენიკინს და დიდი ხანია რაც მათ ხარჯზე სცხოვრობს კოლჩაკიც. ის რომ მოკავშირენი რუსეთში განსაკუთრებით საფრანგეთი მოსძებნიან ხოლმე სწორედ რეაქციულ მიმართულების ხალხს ესა სიტყვა თვით კერენსკიმაც თავის წერილებში „დეილი მეილზე“ რომ დასტამბა. იგი ამტკიცებდა რომ პიშონისა და მილნერის საუკეთესო მეგობარნი რუსეთში არარას წარმოადგენენ „გარდა ფოთლებისა რომლითაც მიწაა მოფენილი მხოლოდ ამოვარდნილი ქარიშხალი აძლევს სიცოცხლის სახეს, როდესაც ქარიშხალი დადგება, მხოლოდ უსიცოცხლო ფოთლები და შეგვრჩება ხელში.

ამერიკელები არა სცდებიან როდესაც კოლჩაკს არა სცნობენ.

## აზიურ იჯანი

**სავაჭრო დელეგაცია საზღვარგარედ.**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში აღიძრა საკითხი საზღვარ გარედ საგანგებო დელეგაციის გაგზავნის შესახებ, ევროპასთან სავაჭრო ურთ-ერთობის მოსაწყობად. პირველადყოვლისა დელეგაცია უნდა შეეცადოს, რომ გასცვალოს ევროპის საქონელში დიდძალი ბამბა, მატყლი და სხ.

**საქართველოს ახალი ელჩი ბაქოში.**

ნ. ქარცივაძის მაგიერად, (რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად მიწვეული) აზერბაიჯანში საქართველოს დიპლომატიურ მისიის უფროსად დაინიშნა კოტე დიმიტრის-ძე მიქელაძე.

**აზერბაიჯანი და საფრანგეთი.**

მოკავშირეთა აღმოსავლეთის სარდლობის წინაშე მყოფი ჯარების ზურგის უფროსი პოლკ. ბუშე საფრანგეთის მისიის პირით მოელაპარაკა აზერბაიჯანს საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. საფრანგეთის წარმომადგენელი შემდეგ კითხვებზე სთხოვს პასუხის გაცემას 1) რა და რა საქონელი შეიძლება, რომ ეხლავე მოიკრიბოს საფრანგეთში გასაგზავნად. 2) რაოდენობა და ფასი ამ საქონლისა ფრანკო ბათომში. 3) რა გარანტიას ისურვებდა აზერბაიჯანის მთავრობა ამ საქონლის გაცვლის საქმის უზრუნველსაყოფად. 4) რა გვარი საქონელი არის საჭირო აზერბაიჯანისათვის საფრანგეთიდან.

ყოველგვარ ცნობებს ამის შესახებ მიაწვდის საგანგებო ბიურო ჯარების ზურგის უფროსის კანცელარიასთან არსებული, ხოლო საჭირო ტონაჟეს მისცემს გემთა საზოგადოება მაკე.

**ხამი მილიონის იბტომია**

აპრილის 11-ს ბაქოს მაძებარ პოლიციის უფროსმა პაშა-ბეგ ფატალიბეგოვმა მიიღო ცნობა რომ გემ „კურსკზე“ მოხალისეთა ჯარის ოფიცრებს დენიკინისათვის გასაგზავნად მიაქვთ დიდძალი ფული. ჩხრეკის შემდეგ აღმოჩნდა რომ იპოვნეს 4 პაკეტი რომელშიაც თითოში 400,000 მანეთი იდო. ოფიცრები ფულთან ერთად წარადგინეს საპოლიციო ნაწილში, სადაც დასთვალეს ფული ოფიცრებთან ერთად შეადგინეს აქტი და მისცეს საქმეს მსვლელობა. ფული ვადაეცა ხაზინას.

5 დღის შემდეგ ბაქოს გუბერნატორ ახუნდ ზადესინ ინგლისურ ფორმაში გამოწყობილი პირი შევიდა და ჩააბარა ქაღალდი ვითომ ინგლისურ შტაბის მიერ გამოგზავნილი, ქაღალდი დაწერილია უთარიღოდ 1919 წ. მაგიერ 1918 წელი წერია და ხელმოწერილია ყარადაშით: „ჩესტერფილდ“ ქაღალდს ყოველ მხრივ ეტყობოდა რომ ყალბი არის.

გუბერნატორმა ეს ქაღალდი რომ მიიღო მაშინვე ბრძანება გასცა ფულის უკან დასაბრუნებლად და ოფიცერს კი სთხოვა ხვალ შემოიარეთო.

მეორე დღეს ოფიცერმა ფული მიიღო, არ დაუთვლია, რუსულ ტექსტზე წაუკითხველად ხელი მოაწერა და გაქრა. გუბერნატორს 17—23 აპრილამდე ერთი კვირის განმავლობაში ეჭვი არ შეპპარვია ამ „ოფიცერის“ სიყალბეში, არც მთავრობისათვის მოუხსენებია, და არც შინაგან საქმეთა მინისტრს დაჰკითხებია ტელეფონით მაინც.

14 მაისამდე ეგონათ რომ ფული სწორედ ინგლისის შტაბმა წაიღო, მაგრამ 14 მაისს გამოირკვა, როდესაც მოხალისეთა წარმომადგენელი ლაზარევი ეხლა პრემიერ მინისტრს და წართმეული ფული მოსთხოვა. მინისტრმა განუცხადა ფული წაიღო ინგლისის შტაბის ოფიცერმა. ინგლისელებთან მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა რომ ფული გაუტაცნიათ ვილაც ბოროტ-მოქმედს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ საგანზე სასტიკი გამოძიება აღძრა.

**სამხედრო წესები აზერბაიჯანში.**

ამ დღეებში მოელიან რომ სამხედრო რევოლიუციური კომიტეტი აზერბაიჯანში დროებით სამხედრო წესებს გამოაცხადებს.

**აზერბაიჯანის ფინანსები.**

აზერბაიჯანის ფინანსების შესახებ ფინანსთა მინისტრმა ჰასანოვმა შემდეგი ცნობები მიაწოდა აზერბაიჯანის პარლამენტს: „ამიერ-კავკასიის ბონები აზერბაიჯანის წილად გამოცემულია 160 მილიონი მანეთი. ჩვენ მივიღეთ ბაქოს ბონების გამოცემის უფლება მხოლოდ 600 მილიონის ფარგლებში, მაგრამ მკათათვის 1-ამდე გამოშვებულია მხოლოდ 450 მილიონი. სულ ჩვენი ბონების ღირებულება უდრის 610 მილიონ მანეთს. თუ ამას დავუმატებთ იმასაც რომ ბაზარზე ტრიალებს ჩვენ მოსვლამდე ბოლშევიკების მიერ გამოშვებული ბონები 300 მილიონი სულ ჩვენი გასანაღდებელი ვალი გაუთანასწორდება მაშინ 910 მილიონ მანეთს. ჩვენ მიერ გამოცემულ 450 მილიონ მანეთიდან 400 მილიონის გარანტია უეჭველად გვაქვს, რადგან ისინი გაცემულ არიან ჩვენ მრეწველობაზე და მეგობარ სახელმწიფოებზე. ასე რომ ჩვენ საჭიროებაზე 1-ენკენისთვიდან დაგვიბარჯავს მხოლოდ 50 მილიონი მანეთი. ბაქოს ბონებისა და 600 მილიონი ამიერ კავკასიის ბონებისა. გარდა ამისა ამას უნდა დაუმატოთ შემოსავალი 35 მილიონი, სულ და ხლოვებით 245 მილიონი მანეთი.

## აფხაზეთში.

ბაქოს გაზ. „ზნამია ტრუდა“-ში დაბეჭდილია აფხაზეთის შესახებ შემდეგი ცნობა:

„მოხალისეთა ჯარი ვერაფრით ვერ ურიგდება აფხაზეთის დამოუკიდებლობას. და პირდაპირ სოხუმისაკენ მიიწევს. სოჭში გამოცემული „ფურცელი“ ყოველ დღე ბეჭდავს წმინდა „პოგრომულ“ ხასიათის მოწოდებებს. აფხაზეთის ცნობილი თავადები აშუხვარი (?) შენგელაია და სხვა. ამ გაზეთის ფურცლებზე დაუფარავად მოუწოდებენ დენიკინის ახალგაზრდა რესპუბლიკაში შესვლას და ხოხუმის დაცემა, უეჭველია, შორს არ არის, მიუხედავად იმ თავდადებულ წინააღმდეგობისა, რომელსაც მათ უწევენ აფხაზთა შეიარაღებული ძალები.

## დეპეშები

(**საქ. დემოკ. სააგენტო**)

**ივლისის 28-ს**

(დღეს სააგენტოს ინგლისურ-ფრანგული ცნობების დეპეშები არ გადმოუცია).

**მოსკოვი**, ივლისის 27. (ც. ა. ქ. ბ. ბ. ბიულეტენი.

**სამხედრო ცნობა.** (დასაწყისი არ არის მიღებული). პსკოვისკენ ჩვენი ჯარი ლუგის სამხრეთ დასავლეთით 80 ვერსის სიგრძეზე არის გამაგრებული. პსკოვის აღმოსავლეთით 40-50 ვერსზე ჩვენ ჯარს მტერმა უკან დაახევინა. მოლოდენოს მიმართულებით რადომკოვინთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კოველის მიმართულებით სარნის აღმოსავლეთით 20 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ჟიტომირის ჩრდილო-აღმოსავლეთით 30 ვერსის მანძილზე სადგურ კომაროვცი დავსტოვეთ. მოგილევ-პოდოლის მიმართულებით ვაპნიარკა ავიღეთ. შავი ზღვის სანაპიროზე საფრანგეთის სამხედრო გემებმა ოჩაკოვს ზარბაზნები დაუშინეს.

**სამხრეთის ფრონტი.** ხარკოვის სამხრეთით 80 ვერსის მანძილზე სადგ. ისკროვსკაის დასაჭერად ბრძოლა სწარმოებს. ვალუის მიმართულებით ნოვოსკოლ აღმოსავლეთით 30 ვერსზე ჩვენ რამდენიმე ახალი პოზიცია დავიჭირეთ ნოვოხოპიორსკის და ბორისოგლებსკის მიმართულებით ჩვენმა ს. ს. ალფერევკა და გორელკი დაიჭირა მდ. ვოლგის მარცხენა ნაპირზე ხელთ ვიგდეთ მოწინააღმდეგის პარტიზანთა შტაბი.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ცარიცინის რაიონში ბასკუნჩაკის ტბის დასავლეთით 30 ვერსის მანძილზე სადგ. კოჩეტოვკასთან მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. ქ. ურალსკის აღმოსავლეთით 90 ვერსის მანძილზე ირტიშისკენ შეტევას განვაგრძობთ. ორენბურგის ჩრდილო-აღმოსავლეთით 80 ვერსის მანძილზე მოწინააღმდეგემ რამდენიმე სოფელი დაიჭირა. ვერხნეურალსკის რაიონში შეტევას განვაგრძობთ. ჩელიაბინსკის სამხრეთით და ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ეკატერინბურგის სამხრეთ-აღმოსავლეთით 90,100 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ.

**მოსკოვი**, ივლისის 26. ც. ქ. ა. ბ ბ. ბიულეტენი.

**ბ ე ს ა რ ა ბ ი ა შ ი**

**ჩერნიგოვი**, ივლისის 24. ბესარაბიაში მშვენიერი მოსავალია. დაბაკილიაში ფრანგებმა თითქმის მილიონი ტომარა ხორბალი დააგროვეს საზღვარ-გარეთ გასატანად. ამ ნიადაგზე სასტიკი შეტაკება მოხდა გერმანთა და ფრანგის ჯარების შორის.

**სომეხი კომუნისტი**

**მოსკოვი**, ივლისის 25. დღეს მრავალრიცხოვანი მიტინგები მოხდა მოსკოვის ყველა უბნებში. კატანიანმა სხვათა შორის წარმოსთქვა. სამჭოთა მთავრობამ მრავალჯერ სცადა, ზომიერად მძიმე პირობებშიაც, მორიგება ჩამოეგდო მოკავშირეთა მთავრობებთან, მაგრამ ცდამ ყოველთვის უნაყოფოდ ჩაიარა. ევროპის პროლეტარიატმა კარგა ხანია გაიგო, რომ ხალხთა ლიგა, ეს მხოლოდ ინგლისელ, ფრანგ და ამერიკელ ბანკირთა აქციონერული საზოგადოებაა. სვიდერსკიმ განაცხადა: ჩვენ ვხედავთ, რომ როდესაც წითელი არმია მტკიცეთ სდგას, სურსათსანოვაგეც საკმაოდ მოგვეპოვებაო. არაკიშ განაცხადა: სამოქალაქო ომს გაუწარმოებთ რათა მოვიპოვოთ რკინა, ნახშირი და ბამბა.

**სამხედრო ცნობები.** ხარკოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო კოდინო, იამპოლიდან 20 ვერსის მანძილზე მტერს წავართვით 3 ტყვიისმფრქვეველი. პსკოვის რაიონში ჩვენი ჯარი უკან იხევს. პინსკის რაიონში ჩვენ ავიღეთ სოფელი სუდერიტი. ველიკის მიმართულებით დავიჭირეთ მთელი რიგი სოფლებისა. მოლოდენოს მიმართულებით ბრძოლა რაკოვის რაიონში სწარმოებს. ნოვოგრადის მიმართულებით მტერმა აიღო სოფელი დეროვნო. სარნის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სოფ. სტეპანი. წამოვიყვანეთ ტყვეები, 3 ტყვიისმფრქვეველი და 300 ყუმბარა. მტრის განახლებული იერიშის გამო ჩვენ 12 ვერსით უკან დავიხიეთ. კამენეც-პოდოლის მიმართულებით ჩვენ უკან დავიხიეთ და ქმერინკო-პროსკუროვის ხაზზე გავმაგრდით.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ჩვენმა ჯარმა სადგ. ვლადიმიროვკა დასტოვა, გადმოვიდა ვოლგის მარჯვენა ნაპირზე ასტრახანში. ჩვენი ჯარი ჩორნიიარის რაიონში იკრებს თავს. ურალსკის რაიონში ჩვენი წინსვლა გრძელდება და ერთი სოფელი ავიღეთ.

ივლისის 26. ჩვენ ქალაქი კერსნეურალსკი ავიღეთ. ჩელიაბინსკის მიმართულებით სასტიკი ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ქ. ჩელიაბინსკი. ეკატერინბურგის მიმართულებით ჩვენ გავიდით ბოგდანოვიჩ ჩერნოუსოვის ხაზზე. ალაპაევის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო ალაპაევსკი.

**გალიციელთა ჯარი.**

**კიევი** ივლისის 25 ტარნოპოლიდან ჩამოსულთა სიტყვით, გალიციაში ჯარში გაწვეულთა რიცხვი 150,000 კაცამდე ადის. ჯარი კარგათ გაწრთვნილია, მაგრამ საკმაოდ შეიარაღებული არ არის სუსტი განწყობილება ბოლშევიკური და უკრაინასთან შეერთებაზე ოცნებობენ.

**რუსი ტყვეები.**

**სამარა**. ივლ. 24. სამარაში დაბინავებულმა 500 ტყვემ შეუამდგომლობა ლენინს, რათა დაუყოვნებლივ ჩარიცხულ იქნენ წითელ არმიაში და ფრონტზე გაიგზავნენ.

**აჯანყება ზურგში.**

**კიევი**. ივლ. 25. ზურგს უკან ხშირ აჯანყებებს თეთრგვარდიელთა რაზმებში დიდი არევ-დარევა შეაქვს, მათ დაშლას ხელს უწყობენ აგრეთვე ძალით გაწვეულნი გლეხები.

**ხარბოების ბრძოლა.**

**კიევი**. ივლ. 25. კობელიანის მაზრის გლეხობამ დაადგინა დაუყოვნებლივ მოახდინოს მობილიზაცია და ფრონტზე გავიდეს დენიკინთან საბრძოლველად. ზელიონის ბრბო თან და თან ქრება

**მატარებელთა დამსხვრევა.**

**ჩერნიგოვი**. ივლისის 25. გამოირკვა კიევის მახლობლად მომხდარ მატარებლის დამსხვრევის შედეგები: დაზიანდა სულ 100 კაცამდე. 60 კაცი ცეცხლში დაიწვა. გზა გაუფუჭებია „ანგელოზთა ყაჩაღებით“ წოდებულ ბრბოს.

**აჯანყება თეთრ-გვარდიელებში.**

**პეტროზავოდსკი** ივლ. 25. თეთრგვარდიელთა შორის აშკარა აჯანყება ხშირდება. მურმანის ფრონტზე ჯარის კაცებმა ოფიცრები დახოცეს და ნაწილი ჩვენს მხარეზე გადმოვიდა.

**ინგლის საფრანგეთის ხელშეკრულება.**

**ლონდონი**, ივლ. 25 როგორც ლონდონიდან იუწყებიან, ლორდთა პალატამ ერთხმათ დაამტკიცა საზავო ხელშეკრულება და ინგლის-საფრანგეთის სამხედრო კავშირი.

**ზემო სილეზიის დამოუკიდებლობა.**

**ლონდონი**, ივლ. 25. ზემო სილეზიის პლებისციტი გერმანელთა სასარგებლოთ დასრულდა. ამიტომ ეს მხარე ცალკე დამოუკიდებელ დაბად გამოცხადდება. გერმანიის ს.-დ. პარტიამ ქალაქ ლიუცერნში პირველ აგვისტოსათვის განზრახულ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე გასაგზავნად მეკლენბურგი და ველსი აირჩია. ეროვნულ კრილობის ყველა პარტიებმა საჭიროდ დაინახეს სხდომები ვეიმარის ნაცვლად ბერლინში ხდებოდეს.

**ნაუენი**. ივლ. 26. კერძო საკუთრებაზე ახალი გადასახადის კონტროლის გასაწევათ გერმანიის მთავრობამ განიზრახა განსაზღვრულ ვადაში ყველა ქაღალდის ფული საკანტროლო ბეჭედი დაასვას. უბეჭდო ფულს ფასი აღარ ექნება და ამ გვარად თითოეულ მოქალაქის კერძო საკუთრება კონტროლის ქვეშ იქნება დაყენებული. ამავე მიზნით მთელს გერმანიაში ახალი აღწერა მოხდება.

**ფინეთის პრეზიდენტის კანდიდატურა**

**ჰელსინგფორსი**. ივლ. 5. ცენტრის პარტიამ პრეზიდენტის კანდიდატათ პროფ. შტოლბერგი წამოაყენა.

**ბოლშევიკების ტყვეები.**

**მოსკოვი**. ივლ. 20. სამხედრო საბჭოს ბრძანებით ქვლევ წინადადება ეძლევა სამხედრო ნაწილების უფროსებს, რათა იქნეს სასტიკი ზომები მიღებული ტყვე და ნებით გადმოსულ მოწინააღმდეგეთა მიმართ.

**საზონოვი პარიზში**

**პეტროგრადი**, ივლისის 26. პარიზის პრესის ცნობით კოლჩაკის წარმომადგენელი, საზონოვი, ცდილობს გააქარწყლოს სოციალისტთა ბრალდება კოლჩაკის მთავრობის რეაქციონერებისა და მონარქისტების შესახებ, მაგრამ პარიზში მყოფ წვრილ ეროვნებათა წარმომადგენელნი საზონოვის განცხადებებს უნდობლობით ეპყრობიან.

## სასამართლოში

### ტრიფონ ჯაფარიძის საქმე

მკათათვის 26 თბილისის საგანგებო სასამართლოში გაირჩა წარსულ წლის მარიამობისთვეს, ხაშურში ვერაგულად მოკლულ ტრიფონ ჯაფარიძის საქმე. ტრიფონ ჯაფარიძე ერთი იმ მუშაკთაგანი იყო, რომელიც არავითარ თავის კერძო ინტერესებს არ მისდევდა და თავს ხდებდა საზოგადო საქმისათვის; როგორც მოწმეთა დაკითხვიდან გამოირკვა „არ ყოფილა ხაშურში ერთი კაცი რომელზედაც ტრიფონ ჯაფარიძეზე ეთქვას: რომ „ეს კაცი არ ვარგაო? პირიქით მას ყოველთვის აფასებდნენ და მის სიტყვას მრავალჯერ ასრულებდნენ.

განსვენებული ეროვ. დემოკრატ. პარტიას ეკუთვნოდა და აქაც ცნობილი იყო როგორც დაუღალავი მშრომელი. მიუხედავად იმისა რომ ხაშურში ამ მიმართულების მიმდევრები მის დროს ბევრი არ იყო, იგი როგორც ბურჯი ედგა ამ მიმართულებას, რაც რასაკვირველია ადგილობრივ გოუნათლებელ, ტლანქი ლოლიკის ხალხს, რომელსაც პარტიული ბრძოლა უეჭველად სხვის უხეშ დაწიხვლადა აქვს წარმოდგენილი, არ მოსწონდათ ასეთი მუშაკის იქ ყოფნა.

აღსანიშნავია რომ სასამართლომ მკვლელობის ამ ერთ-ერთ დიად მიზეზს სრულიად აუხვია გვერდი, თუმც შეიძლება ითქვას, რომ ხოგჯერ იგი თვით ამოხეთქავდა ხოლმე. ამ მხრით აღსანიშნავია ჩვენთვის მოკლულის ძმის გალაქტიონ ჯაფარიძის და ბრალდებულის 20 წლის სარაიონო კომისრის შალვა ჩანტლაძის ჩვენებანი.

მთელი საქმის გათავების შემდეგ, მიუხედავად იმისა რომ ბრალდებულნი, რომელიც პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდათ ამ საქმესთან სასამართლომ კანონიერად დასაჯა, ნამდვილი მიზეზი და ნამდვილი დამნაშავენი, შთაბეჭდილება ისეთი დაგვრჩა რომ აღმოჩენილნი არ იყვნენ. ამას ხელს უშლიდა, (როგორც ამბობდენ) ის გარემოებაც რომ ბევრი მოწამე, რომელმაც საქმის გარემოება კარგად იცოდა, არ გამოცხადებულა.

საქმის გარჩევა დაიწყო სრულ 11 საათზე.

ბრალდებულთა სკამებზე სამი ბრალდებულია: სულ მარჯვნივ ზის ხაშურელი სტეფანე ბარბაქაძე, 25 წლის, შავგვრემანი, უცოლშვილო, ხელობით კონდუქტორი, რკინის გზაზე მოსამსახური, მის მარცხნივ 38 წლის, ოდნავ ჭაღარა შერეული მიხ. ბოლოქაძე, ცოლშვილიანი, სულ მარცხნივ ყველაზე ახალგაზრდა, დამშვიდებული სახით გამხდარ-გამხდარი, 20 წლის სარაიონო კომისარი ხაშურისა შალვა ჩანტლაძე. პირველ ორს იცავენ ნაფიცი ვექილნი ესსენი და პ. ქავთარაძე, ჩანტლაძეს იცავს ი. ბარათაშვილი.

**საბრალდებლო ოქმი.**

(შინაარსი)

1918 წლის მკათათვის 17-ს, ხაშურში მცხოვრებ ტრიფონ ჯაფარიძეს სახლში შეუვარდნენ ესტატე ბუხრიკიძე, სტეფანე ბარბაქაძე და მიხ. ბოლოქაძე და სახლის გაჩხრეკა მოსთხოვეს იარაღის აღმოჩენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ტრიფონ ჯაფარიძეს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია ესტატე ბუხრიკიძის ბრძანებით ბოლოქაძემ და ბარბაქაძემ და თვით ბუხრიკიძემ რევოლვერებით სროლა დაუწყეს ტრიფონ ჯაფარიძეს. ტრიფონ ჯაფარიძე სახლში შევარდა და გაქცევით თავს უშველა. გვარდიელებმა, ბუხრიკიძემ, ბოლოქაძემ და ბარბაქაძემ აუტეხეს სროლა კარებს მოკვლის მიზნით.

ტრიფონ ჯაფარიძემ მიმართა გვარდიის შტაბს, მაგრამ შტაბის უფროსმა პასუხი არ მისცა.

მარიამობისთვის 26-ს სარაიონო კომისარმა შალვა ჩანტლაძემ დაიბარა ბუხრიკიძე, ბარბაქაძე, ბოლოქაძე და ჯაფარიძე და შეეცადა რომ საქმე შინაურულად მოეგვარებინა და შეერიგებინა. ჯაფარიძემ ამაზე უარი განაცხადა და გარედ გამოვიდა; ამ დროს მას შეხვდა ვ. ციციშვილი. მასთან ლაპარაკის დროს კომისარიატის ეზოში ტრიფონ ჯაფარიძე მოკლულ იქმნა. მკვლელი მიიმალა. ბარბაქაძე და ბოლოქაძე კი შეიპყრეს.

ექიმთა გასინჯვის შემდეგ გამოირკვა რომ ტრ. ჯაფარიძეს მოხვედრია 3 ტყვია.

დაპატიმრებულთა წინასწარ დაკითხვის დროს მათ თავი დამნაშავედ არა სცნეს. პირველ შემთხვევაში (გაჩხრეკის დროს) ისინი წაიყვანა ბუხრიკიძემ.

**სტეფანე ბარბაქაძეს და მიხ. ბოლოქაძეს ბრალი ედებათ:**

I—17 მკათათვეს მივიდნენ ტრიფონ ჯაფარიძის ბინაზე, გამოიტყუეს, სასიკვდილოდ ესროლეს მაგრამ ვერ მოარტყეს.

II იმ დროს როდესაც 26 მარიამობისთვეს კომისარიატის ეზოში ტრიფონ ჯაფარიძე ელაპარაკებოდა ვ. ციციშვილს გვერდიდან მიპარვით რევოლვერის სამი ტყვიით მოჰკლეს ტრ. ჯაფარიძე.

**შალვა ჩანტლაძეს** ბრალდებული ბრალს სდებს იმაში, რომ იცოდა ბოროტმოქმედების შინაარსი და დაიბარეთ დაზარალებული ტრიფონ ჯაფარიძე და რათა ეს სისხლის სამართლის დანაშაული მიეჩქმალათ და მიუცია ჯაფარიძისთვის წინადადება რომ იგი ბოროტმოქმედებას შერიგებოდა.

**ბრალდებულთა განცხადებანი**

ეკითხებიან ბრალდებულებს აქვთ თუ არა რამე განსაცხადებელი. ლაპარაკობს შალვა ჩანტლაძე სრულებით არა ჰღელავს, ლაპარაკობს საკმაოდ კარგად რუსულად და სცდილობს რომ დახატოს მაშინდელი ადმინისტრაციული მუშაობის სიძნელე:

ტრიფონ ჯაფარიძის სიკვდილში, რასაკვირველია მე დამნაშავე არა ვარ. მე ბრალსა მდებენ უმოქმედობისათვის. ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა. საქმე იმაშია რომ ჩემსა, საქალაქო კომისარსა და გვარდიის შტაბის შორის ადმინისტრაციული ფუნქციები სრულიად არეული იყო. ქალაქის კომისარი მე რაიონის კომისარს არ მემორჩილებოდა და მის მიერ მიღებულ საქმეებს მე კი არ მიგზავნიდა არამედ ქალაქის თვითმართველობასთან შექმნილ თავდაცვის შტაბს, რომელიც თავის მხრით გვარდიის შტაბს ემორჩილებოდა. ასეთ არევ-დარევის თავდასაღწევად მე მთავრობასაც მოხსენება წარუდგინე და „სიეზდზედაც“ ამ აზრს ვიცავდი რომ რამე ინსტრუქცია მიეცათ, ვთქვათ მე ვიყავი უფროსი, შტაბი თუ ქალაქის კომისარი.

კერძოდ ამ საქმეზე უნდა ვსთქვა რომ, როდესაც მე მივიღე შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დეპეშა შევეკითხე საქალაქო კომისარს, რაზედაც მან მიპასუხა, გვარდიელები ძალიან ცუდად იქცევიან და არ ვიცი რა ვქნაო. მე მაშინვე გვარდიიდან დავიბარე ზემო აღნიშნული სამი გვარდიელი, 11 საათზე ჩემთან მოვიდნენ, ორი მათგანი სტეფანე ბარბაქაძე და მიხა ბოლოქაძე, ათი წუთის შემდეგ მოვიდა ბუხრიკიძე და ჯაფარიძეც. ჯაფარიძემ განაცხადა რომ ბუხრიკიძე მის მოსაკლავად ხელში მიუვარდა და ესენიც მოჰყვნენო. გარდა ამისა ჯაფარიძემ განაცხადა რომ ბუხრიკიძესთან მე არაფერს ვიტყვი და დამპირდა წერილობითი ჩვენების წარმოდგენას. ამ დროს ჩემთან მოვიდა სოფელ ციხის კომისარი და სასწრაფო საქმეზე გამიწვია მოლაპარაკებისათვის. რამდენიმე წუთის შემდეგ სროლა მომესმა, გამოვვარდი ესენი (უთითებს ბარბაქაძეზედ, ბოლოქაძეზე) იქ ისხდნენ და გარედ გავარდი მკვლელს გავედევნე მაგრამ ვერ დავეწიე.

— შინაგან საქმეთა მინისტრის დეპეშის მიღებამდე არ იცოდით საქმის მდგომარეობა? ეკითხებიან შ. ჩანტლაძეს.

— არ ვიცოდი.

— ნუ თუ ორი თვის განმავლობაში ვერ მოჰკარით ყური?..

— მე მხოლოდ გავიგე, რომ ისინი დაცემულიყვნენ და იარაღი ეთხოვათ ტრ. ჯაფარიძისათვის, რაც შეეხება ჩემს დანაშაულს მე ამ საქმეში თავისუფალი ვარ მხოლოდ სხვა ანალოგიურ საქმისთვისათვის ვარ დაპატიმრებული.

**მოწმეების დაკითხვა.**

**მარიამ ჯაფარიძე**: (ქვრივი მოკლულისა) მკათათვის 17-ს ჩემთან სახლში მოვიდნენ გვარდიელები სტ. ბარბაქაძე ესტ. ბუხრიკიძე და მიხ. ბოლოქაძე და მომთხოვეს იარაღი. ჩემმა ქმარმა ორდერი მოსთხოვა მაგრამ მათ ძალადობა რომ შევატყე გავიქეცი შტაბში გასაგებად მართლა შტაბის გამოგზავნილი იყვნენ თუ არა. მსაჯულის შეკითხვაზე თუ რამდენჯერ მოესმა სროლის ხმა, მოწამე უპასუხებს რომ სამ—ოთხჯერო. მოწამე სხვა და სხვა კითხვებზე უპასუხებს, რაშიაც ირკვევა რომ ტრიფონ ჯაფარი-

ძის პირველი ჩხრეკა თებერვალში მომხდარა. მაშინ მის ცოლისათვის წაურთმევიათ „ბერდენკა“. ამის შემდეგ ცოლს ბევრი უცდია „ბერდენკა“ უკანვე გამოეტანია და სწორედ ამ საგანზევე თიბათვის 17 გვარდიელები ხელახლად დასხმიან თავს. მოსამართლეთა შეკითხვაზე თუ რა იყო მკვლელობის მიზეზი მეუღლე ტრიფონ ჯაფარიძისა პირდაპირ ვერ უპასუხებს:

რავიცი, არავისათვის სამტრო არა ჩაუდენია, ყველასათვის კეთილი სურდა. საზოგადო საქმეებში ერეოდა და იქნებ...

— რამე მტრობა მოკლულისა და ამათ შორის, კერძოდ ბუხრიკიძეს შორის არა ყოფილა?..

— არაფერი, როგორც ყველას ბუხრიკიძესაც ლალა უნდა გადაეხადა, თუმცა ჩემი ქმარი ამბობდა ხოლმე, რომ ბუხრიკიძეს ჩემი „ინტერესი“ აქვსო.

— რა ინტერესი ან ამის შესახებ ჩანტლაძეს შეატყობინეთ?—ეკითხება ჩანტლაძის დამცველი ი. ბარათაშვილი.

არა ჩვენ არ შევატყობინებია მხოლოდ თვით დაიბარა ჩემი ქმარი, როდესაც ყველას შტაბსაც, თავდაცვის კომიტეტსაც, ქალაქის კომისარსაც და სხვებსაც უთხარით, დაიბარა და შერიგებას შეეცადა.

სამოქალაქო ბრალმდებელი ნასიძე ეკითხება ჩანტლაძეს მართლა თვითვე დაიბარა თუ არა?

ჩანტლაძე პასუხის მიცემის დროს ფიქრობს ნელა ლაპარაკობს და მაინც ვერ უპასუხებს კითხვაზე:

— მე არ შემიტყობინებია მისთვის, მე მხოლოდ კაცი გაუგზავნე ბარბაქაძე, ბულოქაძე და ბუხრიკიძის დასაბარებლად. იგი ალბად სხვას დაუბარებია მე მინდოდა მათი ურთიერთი დაკითხვა და ტრიფონ ჯაფარიძეზე კაცს დავაბარე, რომ თუ შეხვდეს უთხარი იმანაც შემოიაროს მეთქი

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთის ამბები
### ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ხალხთა ლიგა და კავკასია.**

თანახმად პარიზიდან მოსულ ცნობებისა „კავკასიის ტერიტორიათა“ საკითხს უმაღლეს ხუთთა საბჭოში იხილავენ, როგორც სადავო საკითხს რუსეთთან და უთანხმოება ჩრდილო კავკასიისა და ამიერ კავკასიის ხალხთა რუსეთთან გადაჭრილი იქნება, ხალხთა ლიგის მიერ საერთაშორისო თვალსაზრისით.

პარიზის შემარცხენე და აგრეთვე ზომიერი პოლიტიკური წრეები სთვლიან გენერალ დენიკინის მოქმედებას უკეთო ავანტიურად, რომელსაც არ შეუძლია გავლენა მოახდინოს როგორც კავკასიაზე ისე რუსეთის ბედზე.

**აზერბაიჯანი და მთიულეთი.**

აზერბაიჯანისა და მთიულეთის დელეგატებმა პარიზში სამშვიდობო კონფერენციას განუცხადეს, რომ ამ ორ სახელმწიფოთა შორის ტერიტორიალური საკითხში არავითარი უთანხმოება არ მოუდევს.

**მთიულეთის პროტესტი.**

მთიულეთის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა და მთიულეთის დელეგაციის წევრმა პარიზში ბ. ბამატოვმა წარუდგინა საპროტესტო ნოტა კონფერენციის თავმჯდომარეს კლემანსოს, ვილსონს, ბალფურს და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, გენერალი დენიკინის მკაცრი და განმანადგურებელი ომის გამო თვითგამორკვეულ ჩერქეზეთის და დაღესტნის ხალხთა წინააღმდეგ.

ამერიკული მისიის დირექტორის პირით მთიულეთის დელეგაციამ მიიღო ვილსონის პასუხი, რომელშიც ჰპირდება დელეგაციას მისი სამშობლოს ბედის შემსუბუქებას.

**თავდაცვისათვის მოწოდება.**

„ბერლინერ ტაგებლატში“ დაბეჭდილია შემდეგი ძლიერი მოწოდება:

„სამშობლო განსაცდელშია, გვიბრიყვებენ ოფიცრებო, უნტერ ოფიცრებო და ჯარისკაცნო გამოცხადდით ჩვენ სამხრეთ საზღვრის დასაცავად.

**იაპონიის მისია.**

ეკატერინოდარიდან იტყობინებიან რომ კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა 30 კაციდან შემდგარი იაპონელთა მისია, რომელშიაც შედიან ვაჭარ-მრეწველთა და სწავლულთა წარმომადგენელნი: იაპონელი კომერსანტები დიდ საქონლის დამზადებას კისრულობენ.

**პოლონეთის ჯარის გადიდება.**

ლატიშთა გაზ. „კაუტას ბალსს“ ცნობით ოთხთა საბჭომ ნება დართო პოლონეთს რომ ჯარი გაზარდოს 80.000 კაცამდე, რუმინელებს და ჩეხოსლოვაკებს 50.000 კაცი და სამხრეთ სლოვაკებს 40.000-ამდე.

## სატელეფონო ნიხრი

მთავრობის მიერ 15 მკათათვის დადგენილების თანახმად მიმდინარე მკათათვის პირველ რიცხვიდან ტელეფონით სარგებლობისთვის შემდეგი ნიხრი დაწესდა:

1. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათათვის 300 მანეთი თვეში.
2. კერძო ბინებსა და სახაზინო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოწყობილ ტელეფონისათვის, რომელიც დაშორებულია ტელეფონის სადგურს არა უმეტეს ორი ვერსისა—100 მან. თვეში.
3. ხოლო თუ ტელეფონი დაშორებულია ორ ვერსის უმეტეს, ზემო ნაჩვენებ ფასის გარდა გადახდება მავთულის ყოველ ას საჟენზე—60 მან. წელიწადში.
4. ტელეფონის ერთი შენობიდან მეორეში გადატანისათვის ორი ვერსის რაიონში—300 მანეთი.
5. ტელეფონის ერთი შენობიდან მეორეში გადატანისათვის ორ ვერსის უშორეს მანძილზე ნამდვილად გაწეულ ხარჯების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 300 მანეთი.
6. ერთი ოთახიდან მეორეში ერთისა და იმავე სართულში—100 მანეთი.
7. ერთი ბინიდან მეორეში ერთისა და იმავე შენობაში, მაგრამ სხვა და სხვა სართულში 300 მანეთი.
8. ტელეფონის აპარატის ხელახლად დადგმისათვის ახალი აბონენტის მიმატებისათვის, აგრეთვე დამატებითი აპარატის დადგმისათვის ზემო ნაჩვენების გარდა ერთდროულად—300 მან.
9. საქალაქთაშორისო და სანახებათაშორისო ტელეფონით ლაპარაკისათვის—პირველ სამ წამს 6 მან., შემდეგ თითო წამში 2 მან.

## ცნობანი.
### თბილისის სამხედრო საკრებულო ტაძრის შესახებ

**(მისი საქართველოს რესპუბლიკის საკ. უწყებაში გადმოცემის გამო).**

ხსენებული ტაძარი მდებარეობს თბილისის შუაგულს გუნიბის მოედანზე, რუსთაველის (ყოფილ გოლოვინსკის) პროსპექტის დასაწყისში. მის აშენების ისტორია ასეთია: 1764 წ. კავკასიის ომის დასრულებისას, მაშინდელმა კავკასიის ჯარის უფროს მღვდელმა ღეკუშილევსკიმ მიართვა მოხსენება კავკასიის მეფის ნაცვალს აშენებულიყო ალექსანდრეს ბაღის სათავეში გაფართოებული ტაძარი, არსებულ ტაძრის სიპატარავის გამო. მეფის ნაცვალმა, მიხეილ ნიკოლოზის-ძემ დიდი ყურადღება მიაქცია მოხსენებას, რადგან მას თვითონაც ჰსურდა აშენებულიყო თბილისში თვალსაჩინო ტაძარი გუნიბის მოედანზე კავკასიის ომის დასრულების სახსოვრად. 16 აპრილს 1871 წ. დიდის ამბით იქმნა ჩადგმული საძირკველი, მაგრამ მოულოდნელმა ომიანობამ ოსმალეთთან (1877—1878 წ.) შეაჩერა აშენების გაგრძელება. ომის გათავების უმალ ამ ტაძრის აშენებისათვის გადადებულ იქმნა 380,000 მანეთი, მასთან შეცვლილი გეგმით უნდა აშენებულიყო ეს ტაძარი; 1890 წელს იმავე გუნიბის მოედანზე სხვა ადგილი აარჩიეს ასაშენებლად. 1891 წ. 13 აპრილს დასრულებულ იქმნა საძირკვლების აშენება და თვით ტაძრის აშენების საქმის მსვლელობაც გაჩაღდა. 1897 წ. 21 მაისს ტაძარი მზად იყო კიდეც საკურთხებლად; იგი აკურთხა დიდის სამხედრო და სამოქალაქო დღესასწაულებრივის ამბით ყოფილმა საქართველოს ეგზარხოსმა ვლადიმერმა. შენების ხელმძღვანელად, ზედამხედველად, იყო ინჟენერ-პოლკოვნიკი გერასიმოვი.

გარედან ტაძარს აქვს 18 საჟენი სიმაღლე, შიგნით შუა გუმბათის თაღამდის 13 საჟენი და 1 არშინია; სიგრძე და სიგანე 14 საჟენი და 2 არშინი, უმთავრესს გუმბათს დიამეტრი 6 საჟენი და 1 არშინი აქვს. ტაძარს სამი დიდი მუხის ხის, ბრონზით შემკული კარებები აქვს, ერთულ შედარებით მცირე კარია საკურთხევლისათვის; სინათლისათვის გაკეთებულია 81 სარკმელი (ფანჯარა). მხატვრობა ეკუთვნის ადგილობრივ მხატვართა კალჩინისა და ლონგის ხელს და წარმოადგენს მიბაძვას გამოჩენილთ ბუჟინის და ვასნეცოვისას. კანკელი ერთი პრუსიანია, მარმარილოს ქვისა, ზოგან ოქროთი დაფერილი. სამეუფო აწყოლისალის კარნი ბრონზისა მჭოქრილი, ჩუქურთმის ხელოვნებით გაკეთებული. ტაძარი სამ ტრაპეზიანია: უმთავრესი — წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობაზე მარჯვნივით მთავარანგელოზის მიხაილისა, მარცხნივ—წმ. ნიკოლოზ საკვირველ მოქმედისა. სამივე ტრაპეზის კანკლები ერთმანეთის მიემგზავსებიან. თვალსაჩინოა ტაძარში შუა ადგილას დაკიდებული მშვენიერი დიდი ოქროში დაფერილი ბრონზის ჩანიკანდილო (ლიუსტრა) ელექტრონით გასანათებელი შანდლებით: გარეთ და შიგნით კედლებზე მრავალი შესაფერი წარწერანი ოქროს წყლით, შიგნით სვეტებზე ამოჭრილია ოქროს ასოებით სახელები კავკასიის და ოსმალეთთან ომში წარჩინებულ მონაწილეთა, რომელთა შორის ქართველ ჯარის კაცთა სახელებიც მრავალია.

შესანიშნავი ნივთები ტაძრისა: შიგნით უკანა კედელს ამშვენებენ ფარები, სახელწოდებით პოლკებისა და სხვა ჯარის ნაწილთა, რომელთაც მიუღიათ მონაწილეობა კავკასიის დაპყრობაში; გარდა ამისა ამ საკრებულო ტაძარში გადმოტანილია შემდეგი საყურადღებო სიწმიდენი ძველის სამხედრო ნიკოლოზის საკრებულო ტაძრიდან: 1) ოქროში დაფერილი ვერცხლის ჯვარი, რომელშიაც მოთავსებულია მაცხოვრის ჯვრის ნაწილები და ზოგიერთა წმინდანების მცირე ნაშთები, 2) ზიარების (წმ. ნაწილების) შესანახი ვერცხლის (ოქროში დაფერული) ყუთი (სანაწილე). 3) სახარება ჩუქურთმის ხელობისა ვერცხლის (ოქრო ფერული), 4) რამდენიმე წმ. ხატები, შეწირულნი სახსოვრად კავკასიის და ოსმალეთის ომის დასრულებისა და სხვა საყურადღებო საქმეთა მოგონებისათვის რუსეთის მეფეთაგან და სხვა პირთაგან. ტაძარში ეტევა 1000 მლოცველზედ მეტი. დღეობა მისი 30 აგვისტოს.

ტაძრის პირდაპირ აშენებულია მოშორებით ოთხი [illegible] სამრეკლო საუცხოვო ხმის ზარებით.

მოედანი ტაძრისა შემორტყმულია რკინის გალავნით, რომელსაც აქვს სამი კარები. ტაძრის გარეშემო ჩადგმულია ჯაფ ჯაფად ზარბაზნები, სხვა და სხვა დროს ომში წართმეული დაღესტნის და ჩეჩნის იმამის შამილისაგან, ოსმალების და სპარსელებისაგან.

ტაძარი აშენებულია მავრიტანული სტილით. გარედან შეხედულობით ტაძრის გუმბათზე ჯვარი რომ არ ჰქონდეს, მეჩეთს უფრო მიემგზავსებოდა ვიდრე ქრისტიანულ ეკლესიას. ამ ტაძრის გუმბათი, უმთავრესი თაღი, მოაგონებს მნახველს ქ. სამარყანდში არსებულს თემურლენგის დიდ მეჩეთის გუმბათს.

დეკ. ტარასი ივანიცკი.

## მიმოსვლა
### სახალხო მატარებლებისა
### ს. ს. რკ. გზ

**გადის თბილისიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | საღ | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

**თბილისი-სალოგლი**

გადის სალოგლში

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | სალამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. | 50 წ. |

მოდის სალოგლიდან.

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | საღ. | 8 ს. | 4 წ. |

**თბილისი-სანაინი**

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.


ქალთა ავადმყოფების
მკურნალი-სპეციალისტი
**პ. ლ. ოზოლაძე**
საუფლისწულო ქ., 8 (Удельная 8)
**პირობით** ვარჩენ საშვილოსნოს ავადმყოფობისაგან (раздраженіе и бѣшенство матки).
მიიღება საღამოს 3—7 საათამდი.
7—2545—4

საექიმო კაბინეტი
**ექ. პ. ტუღუშაშვილისა**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

**ვ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სალენიიდი და [illegible] სხვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
[illegible] დავითის ძის
**მეღელიანი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს პირდაპირ“ ტელეფონი 14—28.


## ტრფობა წამებული
**(ისტორიული რომანი)**

68.

როცა ამაოდ დაურჩა თებრონიას ყოველივე პირად ცდა შუქურის წინააღმდეგ, როცა ნახა, რომ მხოლოდ თავისი ძალებით საწადელს ვერ აასრულებდა დედოფალს, ვერ გამოვიდოდა მძლე მებრძოლად, დამთრუნველად მეფის სასახლეში მოვლინებულის ცოდვისა, კვლავ მიმართა გრიგოლს: მისი ფიქრები ყოველთვის ამ გულთამხილავთან თავდებოდნენ, მისი ძლიერი გრძნობები მარად ხანძთისაკენ მისწრაფოდნენ, ნებისყოფა მისი საბოლოოდ გრიგოლის უტეხ სურვილებს ემორჩილებოდა.

— მაცალე პასუხი! გითხარ მაშინ, ვიფიქრებ მეთქი. მაცალე! ვილოცავ, მო ამაგონოს ზეცამ თვისი ხმა. ილოცე შენც! ბრძოლა გვიძს ძნელი, მრავლად შეგვხვდების განსაცდელი. ძლიერია მებრძოლი ბნელი. იარე! უბრძანა ბერმა და განშორდა.

ფიქრობდა ბერი. ახალ საშუალებებს არჩევდა, უკეთეს გზას იკვლევდა იცოდა, თუ ერთხელ დაადგებოდა რომელსამე ბილიკს მოქმედებისას, აღარ შეაყენებდა თავის სვლას, ვეღარ ხაით შეუხვევდა იგი; ბოლომდის მივიდოდა ან გზაზე დაილუპებოდა. არ იყო ისეთი ძალა, შეეყენებინა ის მიზანში ამოღებული საგნისადმი მსვლელობაში.

მაინც ვერ გაბედა ეტვირთა საბძიმო საქმე მხოლოდ თითონ; გაანდო თავისი სურვილები მოღვაწე სალოსს, რომელი სცხოვრობდა მთლად განდეგილად და დამსახურებული ჰქონდა სახელი წმიდანისა. მოუსმინა დაყუდებულმა, მოუწონა განზრახვა: მაინც ჰკითხა:

— ამხილე პირისპირ? განუმარტე სიავე მისი უშვერის ქცევისა? ევედრე, დაეტოვებინა ცოდვა ავისი და შეენანა?

— ვამხილე, განუმარტე მისი შორძლვრის პირით, გარნა ამაოდ.

— მიდი შენ თითონ! ევედრე ღვთის სახელით. უკეთუ არ მოინანიოს... იყავნ შენდა, ვითარცა წარმართი!

დამორჩილდა გრიგოლი, ეახლა მეფეს; ამხილა იგი, მოსთხოვა უკუეგდო საქციელი თვისი ბოროტი. მჭერმეტყველი იყო გრიგოლ, ოდეს აღგზნებოდა ცეცხლით ღვთიურით. აალელვა აშოტი, მეტად ჩააფიქრა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო განეტევებინებინა დედაკაცი იგი: მეფე სავსებით ჰქონებოდა თავის გულისთქმას. მიმართა გრიგოლმა თავისგან რჩეულ საშუალებას. მოუწოდა წინამძღვარს დედათა სავანისა.

— თებრონიავ, დაო ჩემო, სულიერიო, მხევალო ეკლესიისავ რჩეულო! დადგა ჟამი, მოისპოს მრუშობა მეფის სასახლეში, ამოიკვეთოს იგი ძირიანად. დაეხმაროს სავანე შენი ეკლესიას ამ განზრახვაში!

— დაეხმარება ღვთით!

შენმა მონასტერმა იტვირთოს მოსპობა იმ ცოდვისა, თავს იდვას მტკიცედ. აცხოვნოს წმედილი იგი ცხოვარი რჩეული, ან დასდოს თავი სჯულისათვის წმიდისა!

— დასდვას თავი სჯულისათვის ტკბილი იესოსი!

— გახსოვდეს! დღეს შენა ხარ იგი მონასტერი: იქ უკლებლივ სრულდება ნება შენი; შენ აგებ პასუხს, თუ შეცდომა მოხდა ნატვირთის ასრულებაში ან რყევა რამე განსაცდელის დროს. იქნება განკითხვა შენი!

— აჰა მხევალი მორჩილი წინაშე მეუფისა ყოვლად ძლიერისა!

— იყავნ! მისმინე: დიდმარხვაა აწ, ჟამი სინანულისა. ეძებს განუმარტოს ვინმე სანდომ, დრო მისცეს მეუფეს მარხულობისა და ლოცვისა, რომ ღირს იქმნეს მიიღოს ზან წმიდა საიდუმლო; ეს არ ეგების, სინამ გვერდს ახლავს ის აშოტს; ვერ შესძლებს სათანადოდ სიწმიდის დაცვას.

— უყვარს აშოტი, იზრუნებს მის სულზედ. მე თითონ ვიდებ თავს მაგ დავალებას.

— განუმარტე, რომ მეომარი კაცია, შემმართებელი და ვინ იცის, რა ჟამს, რა ადგილას მოელის განსაცდელი; ყოველ ჟამს მზად უნდა იყოს წარსდგეს სამსჯავროსა მას ზეშთა მეუფისა, ხომ მორწმუნეა ქალი?

— გარეგან სახით კეთილმორწმუნეა იგი ეშმაკეული და სათნო.

— უთხარ: თითონაც უჯობს შეუმზადოს, განიწმიდოს ცოდვათაგან აღსარებით და მიიღოს წმ. და საიდუმლო. აშოტისა ჟამსაც, მისთვისაც სარგო იქმნება განმარტოვება მცირედ ხანს. მიჰხარე მისი ჰაზრი ამ სავალისკენ. იყავ მონასტერში, არ მოაშორდე მის ბჭეს, რა გ ხმო ისწრაფე!

დედაბერს ცნობისმოყვარეობა აღეძრა და კიდევ ჩაეკითხა ამის შესახებ. სდუმდა მოღვაწე ჩაფიქრებული. მიმართა ბოლოს:

— იცის ქალმა რომ შენ მოაწყე მკითხავისაგან წამლის მოტანა?

— არა! სხვის ხელით მოვაგვარე ყველაფერი, სხვის პირით. დედოფლის მეტმა არავინ იცის, რომ მე ვმოქმედობდი, მიუგო მონაზონმა.

და კითხვით მიაპყრო გრიგოლს თვალები: ელოდდა მისგან რამ განმარტებას. ამაოდ ელოდდა: სდუმდა ბერი თავდახრილი.

თებრონიას ტყუილად ეგონა, რომ მისი განზრახვა არავინ იცოდა, მის მოქმედებას არავინ ადევნებდა თვალს. იქვე, მის მონასტერში, იყო დათაგანი, მისგანვე მიჩნეული—პატივცემული, რომელიც სრულებით არ იზიარებდა თებრონიას სიძულილს შუქურისადმი, ხოლო მის კავშირს მეფისთან სუსტ თუ ლამაზ ცოდვათა სთვლიდა, რომელს, მისი აზრით, უთუოდ აპატიებდა მას ღმერთი სახიერი. ესე მსჯელობდა დაი თემისტო იმისთვის კი არა, რომ მრუშობა არ მიაჩნდა მძიმე ცოდვად, არამედ იმიტომ, რომ მოხიბლული იყო შუქურის სიმშვენიერით თუ სათნო ბუნებით; მიხვედრილიყო კიდეც, აღლოთი შეეგნო, რომ იგი კავშირი, მხოლოდ გარეგანი სახით ემსგავსებოდა მრუშობას, როგორც ეკლესიისაგან დასტურ დაურთავი, თვისი ბუნებით კი ტრფობა იყო ნამდვილ მზიური, რომელი თავისთავად არის დალოცვილი, რომელს არ ესაჭიროება კურთხევა სხვისი. ვერ შეეძლო მას წარმოედგინა, რომ ის წყნარი ქალი ყოვლად კეთილი იქნებ და ეშმაკისგან ანაზრზენი ჰური ცოდვისა, ვერ შეჰრიგებოდა ამ ჰაზრს. ყოველ ნახვაზედ რწმუნდებოდა, რა უმანკო იყო შუქური, ვით ქალწული უბიწო: ცოდვა ვერ ამღვრევდა მის ფაქიზ სულს სახიერს, ცოდვის ისარი განხურვებული თითქო სხლტებოდა მის ბროლიერით გაწმენდილ არსებაზედ, იტყორცნებოდა რჩებოდა ქალი მარად უბიწო. შეჰყვარებოდა თემისტოს შუქური უშვიათი ტრფიალით, ქალისა ქალისადმი და მზა იყო ეხსნა იგი ყოვლისაგან ბოროტისა. იგრძნო თემისტოს გულმა, რა ავად აღგზნებულიყო თებრონია ქალის წინააღმდეგ და თვალს ადევნებდა ყოველ მის მოძრაობას განწირულის წინააღმდეგ. მონაზონმა ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა შუქურის გალიკში იმ მოახლისაგან, რომელი მოხიბლული იყო შუქურისაგანვე და რომელმაც აცნო. ქალს წამლისა და მკითხველობის ამბავი.

ჰპოვა გრიგოლმა ჟამი მარჯვე, ოდეს აშოტი შორს იყო; წავიდა იგი შატბერდით არტანუჯს და მიიწია მიმწუხრს ძირსა ციხისასა შეუთვალა შუქურს:

— დავიღამე აქ, წარმომიგზავნე სანოვაგე მცირედი ჩემთვის და ჩემ თანამგზავრ წმიდა მამათათვის.

შუქურმა სიამოვნებით გაუგზავნა საზრდო მრავალფერი. იწვია მოღვაწენი. გრიგოლი არ ავიდა სასახლეში, ღამე იქ გაატარა, ციხის მახლობლად. გათენდა. მიუგზავნა შუქურს კაცი; სთხოვა, მისულიყო მის სანახავად. სიხარულით დაჰმორჩილდა ქალი, მსწრაფლ მივიდა წმიდისა მისთანა ორითა მხევალითა თვისითა: უხაროდა ლოცვა-კურთხევის მიღება ღირსისაგან. გრიგოლმა არ აკურთხა ქალი, ჯვარი არ გადასახა მას. უბრძანა განშორებულად დაჯდომა. თვის მოწაფეებს და მსახურ ქალებს ანიშნა, შორს გამდგარიყვნენ. მყისვე განშორდნენ, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მოვლენილ იყო. უთხრა ნეტარმან გრიგოლ:

— საწყალობელო, რისათვის ჩაჰრილხარ ცოლ ქმართა შორის ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკის მიერ, და საფრთხედ ქმნილ ხარ სახელმწიფოსათვის?

მიუგო ქალმა:

— წმიდაო მღვთისაო! თავსა ზედან ჩემსა ვერ თავისუფალ ვარ: გარდარეული სიყვარული აქვს ჩემ მომართ მეფეს. აწ არ ვიცი, რა ვყო: ბრძანებამან შენმან შემაძრწუნა ფრიად.

— იქმენ სრულიად მორჩილი ჩემი! თავმდებ გექმნე ქრისტეს წინაშე, მან, თავადმან, შეგინდნეს ბრალნი.

— ხელთა შენთა ვარ, წმიდაო მამაო! უმჯობესი სულისა ჩემისა იზრუნე.

ჯვარი გადასახა წმიდანმა, აკურთხა ლოცვითა შეჰურვა მადლითა; მისცა თვისითა ხამლთა საბელი, რათა სარტყლად შეირტყას იგი მან. ჰყო მან ეგრეთ. უბრძანა ნეტარმან:

— დღეს იქმნების ცხოვრება სულისა შენისა სანატრელისა დედისა თებრონიას წინაშე მიგიყვანო შენ. წარემართე და გიდოდე წინაშე ჩემსა!

გაემართა შუქური. დაბრუნდნენ მხევალნი. შეუჩნევლად მიდიოდა ქალი, თავის თავისადმი ანგარიშ მიუცემლად. ემორჩილებოდა ბრძანებას ბერისას, მის თვალთაგან გადმოჩქეფარ რამ ძალას ალივით ამწველს, რომელმან დაბუგა შუქურის ნებისყოფა და მთლად დაიმონა იგი. მიდიოდა ქალი, ვითარცა კრავი მსხვერპლად განწირული, ვიდოდა უთქმელად, შეუბრძოლებლად...

— ნუ მიხვალ, შუქურ! შესდექ, იყოვნე! გაიხსენე, ბედშავო, მიჯნურის სახე, აშოტის ხვეწნა. ნუ მიხვალ, შუქურ!..

— ჰხ! ვერ გავიგონე, ვერ შევასმინე! ძლიერ შორს ვიყავ, მრავალ საუკუნეთა მანძილით დაშორებული...

მიდიოდა ქალი. რაც უფრო ჰშორდებოდა ციხე-პალატთა, ეწმიდებოდა ბურუსი გონების თვალთაგან, უნათდებოდა ჰაზრი. ჩაბნელებული; ფხიზლდებოდა ნებისყოფა მიძინებული. აჩნდა გრძნობათა სარკეში სახე აშოტისა. შეკრთა ქალი. დაევედრებული ჰქონდა, არავისთვის დაეჯერებინა სიტყვა, არავის რჩევაზედ არ გაეარნა, სინამ თვით აშოტს არ დაეკითხებოდა; მეტადრე გაფრთხილებოდა სასახლიდან წასვლას, თუნდაც ქალაქში ჩასვლას სამზობლოდ.

— მივდივარ, ჩემო ყველავ, და გევედრები, ფრთხილად იყავი, არვის დაენდო: ბევრი მტერი გვახვევია გარს, ავის მსურველი; ხიფათს შეგამთხვევენ და დაგღუპავენ. შენთან, იცი შენ, დავიღუპები მეც: ვერ გავსძლებ უშენოდ.

— ავასრულებ, რაინდო ჩემო, ყოველ შენ სიტყვას. ძალიან კი დავღონდები უშენოდ, დავიჩაგრები. მეტად სწუხს გული ჩემი საწყალობელი, სევდა რამ შემოსწოლია მძიმე. ჩაბნელებულია სული ჩემი შენთან გაყრისას.

— ნუ ნაღვლობ! გიბრძანებ უკლებლივ ასრულო ჩემი სურვილი! მეფე გიბრძანებს, მიჯნური შენი. აჰა ბეჭედიც მამტკიცებელი ჩემის სურვილის, კოცნაი ჩემი! უთხრა ვაჟკაცმა.

და უკანასკნელად აღბეჭდა კოცნა მის თეთრ ლოყაზედ სწორედ იქ, სად ვარდი გაშლილიყო ღია წითელი.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

[illegible] სამინის[illegible] სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.